


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, მტკიცე ბეჭდუდი სიფყვას, ცყვილებით და ჭაბჭობით ბუბთის გაფანა ყუულა უკადრისდბაჟე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
სამუშაოთი, 28 იანვარი, 2014 წელი.
№18 (7399)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„უსტანდარტო“ საქართველო

შეფერება უშიშროების საბჭოს მდივნის, მთავარი პროკურორის, მინისტრების, პარლამენტარების უზომო სიდიდის ავტომანქანები, ქვეყნის უზომო სიღუფე...

ქაღლი შინ არ ვარბოდან...

კორნელი ფლავიუსი სკოლის ხელმძღვანელობას სააკაშვილთან დაკავშირებით აფრთხილებს



ფული, რუმელის თანამდებობას მიჰყვება 5
ესაც თქვენი კორუფციის „ქაღალი“ საკვირველი!

როდის დამთავრდება გაემოქიება?

შვანიას საქმეზე შვეიცარიული ჩასული თბილისის პროკურორი და საქმის გამოძიებლები კვარში მოხსნან?!

დღის აფრაზურიდან

ვინ არის საქართველოში დღის პირველი ლედი?..

ამ კითხვას ამჟამად ხშირად განიხილავთ ჩვენი ტელევიზიების მკრანელები, რადიოდან, რამტორანში, მუხარში, მებრძოში
— ეს საკითხი, ჩემო ბატონო, მარტო პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის ცოლობის მიხედვით არ უნდა წყდებოდეს.
— მთავარია, განსაზღვროს, ვინ არის დღეს ყველაზე „ცნობადი სახე“ ქალთა შორის, ვინ ჩანს ყველაზე მეტად ეკრანზე, ვისი ავტორიტეტული ხმა ისმის საზოგადოებაში...



— ასეთი, ბატონო, არც პრეზიდენტის არარეგისტრირებული მეუღლეა და არც პრემიერ-მინისტრის კანონიერი ცოლი.
— თუ მართლა „ცნობადისა“ და საზოგადოებისთვის ჭკუის სწავლების და მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ პოლანდიელი სანდრა რულოვსის შემდეგ დღეს საქართველოში არაოფიციალური პირველი ლედია ზესტა-ფონელი
თქმა თუთხარია...
გაიგეთ, ქართველებო, თუ ვერ გაიგეთ, მალე გაგაგებინებთ თვითონ თეიკო, რატომაც არის სრულფლებიანი პირველი ლედი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

ალიან-ჩალიანი

უახლოეს პერიოდში საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 11-კილომეტრიანი საზღვრო ზოლის გაფართოებასთან დაკავშირებით

ამის შესახებ ურნალისტებს პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში ვანო მატყაფარიანმა განუცხადა. ვანო მატყაფარიანის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება თურქეთში პრეზიდენტ მარგველაშვილის ვიზიტის დროს მიიღეს.

გამოითქვა ინიციატივა, რომ მომზადდეს წინაპირობა გარკვეულწილად სამხრეთი ინიციატივების, აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს შორის ერთობლივი პროექტების შემუშავების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო თუ სხვა. ასევე პრემიერმა ერდოღანმაც გამოთქვა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და მზადყოფნა, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც საქართველოს ექნება ამის სურვილი, ის განიხილავს საქართველოში ჩამოსვლის საკითხს და მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავებას, — განაცხადა მატყაფარიანმა.

მისი შეფასებით, თურქეთში გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი წარმატებული იყო. მატყაფარიანი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანად მიიჩნევს გიორგი მარგველაშვილის ოშკა და იშხანში ჩასვლას.

რუსეთის მიერ საზღვრის გაღრმავებას აუშ და ავროკავშირი გეგმავს

მე მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ რუსეთმა ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით 11 კილომეტრით საქართველოს ტერიტორიის შიგნით, აფხაზეთის მიმართული საზღვრები გადმოსწია. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება ჩვენს შემოთქმას არ იწვევდეს. ამ თვალსაზრისით შესაბამისი ინსტრუქციები აქვს მიცემული საქართველოს ყველა საელჩოს, წარმომადგენლობებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, რათა მოხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულყოფილად ინფორმირება, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა და გააგრძელებს მუშაობას საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდაციის თვალსაზრისით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიმართულებით.

მისივე თქმით, 22-23 იანვარს, ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებში, როგორც არის ეუთო და ევროსაბჭო, საქართველოს დელეგაციებმა გააკეთეს განცხადებები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია უნდა არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმის პრინციპებს და აგრძელებს ოკუპაციას, რაც გამოიხატა 11 კმ-ით საზღვრის შემოსევაში.

ჩვენი მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს აშშ-ის და ევროკავშირის დელეგაციებმა. მათ დაგმეს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა და მოუწოდეს რუსეთს, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მკაცრი დაცვა, — დასძინა ზალკალიანმა.

ინტერპრესი

აქტუალური თემა

ირაკლი სოსიანი: ეს ოკუპაციაა და არა მხოლოდ საზღვრის გადმოწევა



ბასულ კვირაში საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შემაზღოთებელი უწოდა რუსეთის ნაბიჯს „საქართველოსთან შეთანხმების გარეშე საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 11-კილომეტრიანი საზღვრო ზოლის გაფართოებასთან დაკავშირებით“. ამ თემაზე კვირის ბოლოს „რადიო თავისუფლება“ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სოსიანს ესაუბრა.

— რას ნიშნავს ეს? კონკრეტულად რა მონაკვეთია საუბარი? რა ფართობებია და რამდენი სწიშ?

— პირდაპირ რომ ვთქვათ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, რუსეთის ეს ნაბიჯი უკვე ყველა საერთაშორისო ნორმას სცილდება, იმიტომ, რომ არ მგონია, რუსეთს გაეხებდა და რომელიმე ევროპული ქვეყნისთვის ეთხოვა, 11 კილომეტრით საზღვარი გადმოეწევა ვინე რამდენიმე სწიშით. ეს ხომ წარმოუდგენელია! მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთი აფხაზეთს არ მიიჩნევს, როგორც თვითონ აღიარა, ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ის აფხაზეთს მიიჩნევს თავის პროვინციად და, ამდენად, აკეთებს იმას, რაც მას მოესურვება.

— ირაკლი, აქ ჩაგვრთვებით. თუმცა ცნობაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა, ნათქვამია, რომ ეს შეთანხმება „დაიდო რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის“, ანუ თქვენ ამბობთ, რომ მოსკოვმა საერთოდ უგულვებელყო სოსიმი?

— იცით, რა, სოსიმი დღეს მთლიანად იმართება მოსკოვიდან — რა თქმა უნდა, არა ყველა საკითხში, მაგრამ დღის წესრიგში არ დგას ისეთი მიდგომები რუსეთის მხრიდან, რომ აფხაზეთთან შეიძლება მას რაღაც საკითხთან დაკავშირებით რეალური მოლაპარაკება დასჭირდეს. რუსეთი მას უყურებს, როგორც თავის პროვინციას. არც აფხაზეთი აპროტესტებენ, უფრო ზუსტად, ვერც აპროტესტებენ, იმიტომ რომ თვლიან, რომ ეს არის ოკუპაცია, რომლის ფარგლებშიც ოკუპანტს აქვს უფლება იმოქმედოს, გამომდინარე თავისი ინტერესებიდან. ამიტომ აკეთებენ იმას, რასაც რუსეთი მოისურვებს.

— მოსკოვის ეს გადაწყვეტილება (საზღვრის აფხაზეთის მიმართული გაფართოება) ხომ არ არის რაღაცნაირად ნაკარნახევი საქართველოს ხელისუფლების ხშირი განცხადებებით, რომ უკონტროლო აფხაზეთის ტერიტორია იქნა ტერორისტთა ერთგვარ თავშესაფ-

რად? ასეთი განცხადებებიც ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ რუსეთს ჩაეთვალა, რომ ტერორიზმის საფრთხე სოჭის ოლიმპიადის აფხაზეთიდანაც ემუქრება?

— ამ ვერსიას, რა თქმა უნდა, საფუძველი აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთში ე.წ. ყველა საზღვარს რუსეთი აკონტროლებს. თუმცა, ყველაფერთან ერთად, არის ტექნიკური საკითხები, რომელიც, ალბათ, ამ შემთხ-



ვევაში გამოყენებული იქნა ამ მიზნით, — ე.წ. სასაზღვრო ზონის გაფართოება, — რომ ტექნიკურად რუსეთმა აითვისოს 11-კილომეტრიანი ზონა და, შესაძლებელია მან, დამატებით განათავსოს გარკვეული ძალები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ჩართოს ისინი (რუსეთის არმიის ნაწილები). გარდა ამისა, რა თქმა უნდა, არსებობს მთელი რიგი უსაფრთხოების საკითხები, ასევე, ალბათ, რუსეთს არ სურს, რომ იქ, ამ ტერიტორიაზე, დამატებითი თვალი და ყური ჰყავდეს და მთლიანად მოაქციოს (აფხაზეთი) საკუთარი კონტროლის ქვეშ. სწორედ აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ რუსეთის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ეყრდნობოდა ასეთ ტექნიკურ საკითხებს.

— ირაკლი, ერთმა აფხაზეთა პოლიტიკოსმა, არ მასსოვს ზუსტად მისი გვარი, საზღვრის ამ დროებით გადმოწევაზე მოსწრებულად თქვა: რუსეთის თითო რომ ჩაუდო პირში, მთელ ხელს მოგაჭამსო. ის, რასაც თქვენ ამბობთ და რაც საქარ-

თველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიციაა, საკმაოდ მეტი მიზეზია იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვას სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე სპორტსმენების გაგზავნაზე.

— კობა, გულწრფელად გეტყვი, რუსეთს 11 კილომეტრით არ გადმოუწევია საზღვარი ფსოუდან. რუსეთმა ამ საზღვრის გადმოწევა აფხაზეთთან დააფიქსირა, თორემ ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისა და სახელმწიფო მოხელისათვის, რუსეთს რამდენიმე ათეული და ასეული კილომეტრით აქვს გადმოწეული საზღვარი. და სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ საქმე გვაქვს ოკუპაციასთან და არა იმასთან, რომ ხდება ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევა.

რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას ოლიმპიადაში, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მონაწილეობას ვვლებულობთ ოლიმპიადაში, როგორც საერთაშორისო სადელეგაციო ლიზინგის მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნება ის. ამ შემთხვევაში ჩვენ მივდივართ არა რუსეთში, არამედ მივდივართ ოლიმპიადაზე.

თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ ფონზე, როდესაც ოლიმპიადამდე სტრუქტურა

იძაბება, იმ ფონზე, როდესაც გარკვეული საფრთხეები მატულობს და თქვენ იცით, რომ ამ დღეებში გერმანიაში, სლოვაკეთში და სხვა ქვეყნებში მუქარის შემცველი განცხადებები მიიღეს ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ეს დამატებითი საფუძველია დავფიქრდეთ, რამდენადც საფრთხე ეხება არა ზოგადად პოლიტიკურ საკითხს, არამედ, პირველ რიგში, ჩვენი სპორტსმენების ფიზიკურ უსაფრთხოებას. შესაბამისად, ჩვენ ამ ეტაპზე ვინარჩუნებთ ჩვენს პოზიციას და ვაცხადებთ, რომ დიას, ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ოლიმპიადაში (ამას მე ხაზს ვუსვამ). მიუხედავად ამისა, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მოვლენებს და თუ ჩავთვლით, რომ საფრთხე შეიძლება დაემუქროს ჩვენს სპორტსმენებს, მაშინ, რა თქმა უნდა, შევცვლით გადაწყვეტილებას. ვიმოქმედებთ იმისდა მიხედვით, თუ რა ინფორმაცია გვექნება.

კობა ლიკლიკაძე

კარგ მოქმედს — კარგი გაგონი...

ქაღლი შინ არ ვარბოდაო...

კორნელი ფლავიანის სკოლის ხელმძღვანელობას სააკაშვილთან დაკავშირებით აფრთხილებს

„საბაპაშვილს არ შეუძლია იყოს მაგალითი მომავალი დიპლომატებისა და ბიზნეს აღმასრულებლებისთვის“, — ამ სიტყვებით მიმართავს აშშ-ის ყოფილი ელჩი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯონ სი კორნელიანი, ტაფტის უნივერსიტეტის ფლავიანის დიპლომატიისა და სამართლის სკოლის ხელმძღვანელობას, სადაც მომავალი კვირიდან მიხეილ სააკაშვილი მოღვაწეობას უკვე ლექტორის პოზიციით იწყებს. ყოფილი ელჩი ამბობს, რომ ეს ფაქტი ფლავიანის ახალი დეკანის არა მხოლოდ ცუდი გადაწყვეტილების მაგალითია, არამედ ზიანის მომტანიცაა ფლავიანის მოსწავლეებისა და მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის.



მრჩეველად სააკაშვილის ოპონენტთან პრემიერ-მინისტრის 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში, რაც უნებშადა აღნიშნული ფლავიანის განცხადებაში. ამის გამოჩენის მიზეზი, სავარაუდოდ, ის ფაქტია, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგად ძალაუფლება „ქართული ოც-

ნების“ პარტიას გადაეცა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ ძალ-ღონე არ დაიშურა, გამოეყენებინა მთავრობის ყველა ბერკეტი, რათა დაებლოკა ოპონენტ ბიძინა ივანიშვილის კამპანია. ივანიშვილი გახლავთ ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკაში მივიდა, რათა დაეხრულებინა სამოქალაქო უფლებების მუდმივი დარღვევა, მთავრობის მიერ მოქალაქეებზე განხორციელებული ძალადობა და ეკონომიკური უკუსვლა, რაც სააკაშვილის მმართველობას ახასიათებდა. მე ვივანიშვილი მომსწრე 2012 წლის არჩევნების საბოლოო დრამატული კვირისა და შემოდგომა პირადად დაგვიდასტურის დაუნდობელი ზენოლა თავი-

სუფლებზე და ძალადობა კამპანიაში ჩართულ ადამიანებზე, რომელიც მე დავაფიქსირე“, — წერს ყოფილი ელჩი. მისივე განცხადებით, ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის 60-მა პროცენტმა ხმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა, არ იყო მხოლოდ ივანიშვილის გამბედაობა და სიმამაცე, არამედ ეს იყო დასავლური მთავრობების მხარდაჭერა, რომლებმაც ნათელი გახადა სააკაშვილისთვის, რომ მას აღარ მისცემდნენ არჩევნების მოპარვის უფლებას.

ფლავიანის ახალი დეკანი იმ უფროსი თაობის სამხედრო ამერიკელი ჩინოვნიკთა ჯგუფიდანაა, რომელმაც მხარი დაუჭირა სააკაშვილს, მიუხედავად მისი დანაშაულებებისა, მისი ნატო-ს მხარდამჭერი მიმდგომის გამო. დარწმუნებული ვარ, დეკანს მოუწევს

თავისი გადაწყვეტილების დაცვა, როგორც არ უნდა აღმოჩნდეს ფაქტები.

მაგრამ ფლავიანის სტუდენტების და პროფესორების დახმარებით შესაძლებელია, დადებით შედეგის მიღება იმით, რომ სააკაშვილის ყოველი გამოჩენა გამოიწვევს მისი მემკვიდრეობის სრულად გაუქმდეს. წინასწარ შეფასებით, საქართველოს უახლესი ისტორია, გაცხადებით სააკაშვილის მიერ პატიმრების მოპვრობის ფაქტებს, მის დაუნდობელ მიტინგების დარბევას 2011 წლის მაისში და კორუფციას, მისი მთელი რეჟიმი ხომ პირადი გამდიდრებით იყო ინფიცირებული.

უპირველეს ყოვლისა, აიძულეთ იგი, თქვას სიმართლე. ამით თქვენ მიადევნებთ იმას, რომ მისი უცნაური განცხადება გახდება მაგალითი, თუ როგორ შეუძლია თავისუფლებას გაიმარჯვოს ისეთ პოსტსაბჭოთარ დიქტატორებზე, როგორებიცაა სააკაშვილი, რუსეთის მოსაზღვრე სტრატეგიულ რეგიონებში“, — ნათქვამია ჯონ სი კორნელიანის წერილში.

ივ. 4 გვ.

დღეს საქართველოს საზოგადოება – ხუმრობა საქმე ხომ არაა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება? ნამდვილი არა და ამიტომაც გვაუწყებს ყველა სახის ელექტრონული ბეჭდვითი მედია ამ მტკადა „მნიშვნელოვანი“ საკითხის თაობაზე, რომელსაც ქვეყნის აღმშენებლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რახანია, ვერა და ვერ დაკომპლექტდა სამეთვალყურეო საბჭო. და თუ რატომ ვერ დაკომპლექტდა, პარლამენტარები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, სახეზე აღბეჭდილი სერიოზულობით გვისხნიან ჩვენ, ტელევიზორებს მიჩერებულ „უციცლებს“ არჩევა-არარჩევის გაურკვეველ პერიოდებს.

ახსნა-გამმარტების მთავარი მიზანი ნამდვილად არ არის ამ პრიმიტიულ პროცედურაში გარკვევა. მთავარი მიზანი არის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის თემაზე ლაპარაკი, მასზე ყურადღების გადატანა და თემის ისე წარმოჩინება, თითქოს ქართველთა ბედი სამეთვალყურეო საბჭოზე ეკიდება.

და რომ დაკიდება დაკიდებდა არ შეფასდეს უნდა ილაპარაკო რაღაცაზე, თან სერიოზული ფიზიონომიით და საზოგადოება დაარწმუნო საკითხის მნიშვნელობაში. ასე და ამრიგად, რახანია ხელისუფლება, მედიის საშუალებით ტვინი გვიხვერებს რაღაც საზოგადოებრივი ტელევიზიის რაღაც სამეთვალყურეო საბჭოზე.

საზოგადოებრივი ტელევიზიის არსებობა არაერთ წელს მოითვლის, თუმცა, ნამდვილი „საზოგადოებრიობა“ ვერა და ვერ მოიპოვა. რაც მოიპოვა, დიდი ფულია, ხალხის ჯიბიდან ამოღებული. საზოგადოებრივი არხის იდეა თანამედროვე საქართველოს ბუნებაში ისეთი რამ არის, როგორც „ქურქი“ გაგანია ავვისტოში და არა მარტო საქართველოში, მასზე დემოკრატიულ სხვა ქვეყნებშიც.

ერთადერთი გამონაკლისი ინგლისი და ბრიტანული „ბიბი-სი“-ა – ტრადიციებსა და მაღალ პროფესიონალიზმზე დაფუძნებული. ამ ტელეკომპანიის შემყურე საქართველოს ხელისუფლებამ იფიქრა, იფიქრა და გადამწყვიტა – ჩვენ, რა ნაკლები ვართო და „შექმნა“ საზოგადოებრივი ტელევიზია, რომლის ორივე სიტყვა ბლეფია. „საზოგადოებრივი“ – იმიტომ, რომ საზოგადოებრივი არ არის და „ტელევიზია“ იმიტომ, რომ ტელევიზია არ არის.

ტელევიზია ნამდვილად ვერ იქნება ის, „სამოთხის ვაშლების“ მსგავს სისულელეს რომ მიანდის მაყურებელი. როგორც რუსები იტყვიან – საბაგელი მაგალითი გადამდებიაო – სწორედ ასეა საქმე და სხვა ტელევიზიებზე აიტაცეს („რუსთავი-2“-მა, „იმედმა“) შუადღის მრავალსაათიანი „ლადავი“ და პრიმიტიული ქუჩური ჭორიკობით სიღამის ჭაობში ექაჩებიან საზოგადოებას.

მიზანი – ხალხის გამოთავადება, მათ ტვინი იმის ჩატენვა, რასაც ქუჩაში ყოველდღიურად უყურებთ, სინამდვილე კი არ არის, სინამდვილე არის ის, რაც ჩვენს გადაცემებშიაო, ანუ მშვიდი, კარგი და უდარდელი ცხოვრება. ვიღას ახსოვს ნამდვილი ცხოვრება, გაუთავებელი პრობლემებით, გაუსაძლისობით.

„საზოგადოებრივი“ ტელევიზია შეიძლება რქმეოდა ტელევიზიას, სადაც პაიჭაძე-კვეცი-ტაძე და მათი მსგავსნი, სააკაშვილის მოტრფილენი, ცალმხრივად, ცალსახად, ჯიქურად და უკანმოუხედავად ქადაგებდნენ იმუპიზმდელ ბენდიერებაზე, დღეს რომ საყოველთაო უბედურებად არის აღქმული? ან ფაშის-ტური, ანუ ნაცისტური მმართველობის დროს, შეიძლებაოდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ტელევიზია? ასეთი „საზოგადოებრივი“ იყო ყველა ტელევიზია, ანუ ვითომ კერძო და „დამოუკიდებელი“, სინამდვილეში კი „ნაციონალური“.

საქართველოში არც არასდროს ყოფილა კერძო და დამოუკიდებელი ტელეკომპანიები. ყველა ისინი, მეტწილად, უფრო მეტად იზარებდნენ ხელისუფლების მოსაზრებას, ყველა მათგანი თვალში შესიცივნებდა სააკაშვილსა და მის ურდოს. ასე, რომ „მდიდარი“ წარსული გამოცდილების შემყურე „ტელემახერები“ ტყუილად ირჯებიან „საზოგადოებრივის“ შესაქმნელად. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ძველი ტრადიციის, ანუ სახელმწიფო ტელევიზიის აღორძინება. სუროვად საზოგადოებრივი ტელევიზიის გაცილებით სჯობს სახელმწიფო ტელევიზია. რომ იტყვიან – დაჟეჟილს, გატეხილი სჯობს.

სახელმწიფო ტელეკომპანიის პატრონ სახელმწიფოს, კერძო ტელევიზორებში შეჭრის ნაკლები მადა გაუჩნდება. გარდა ამისა, რა დააშავა ხელისუფლებამ? და ვინ თქვა, რომ მას თავისი მედიასაშუალება არ უნდა ჰქონდეს? დემოკრატიულმა დასავლეთმა, მიკარნახებენ ადგილობრივი „დემოკრატები“, არასამთავრობო ორგანიზაციების ქურქში გახვეულები. მაგრამ არადემოკრატიულ ქვეყანაში, რამდენად შესაძლებელია დემოკრატიული „საზოგადოებრივის“ არსებობა? პრაქტიკულმა ტელეცხოვრებამ ხომ დაგვანახვა, რომ საზოგადოებრივი ტელევიზორებმა პაიჭაძე-კვეციტაძის დონეზეა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ამ გაპარტახებულ ქვეყანაში სხვა სადარდებელი არ არის? ნუთუ საქართველოს პარლამენტი „საზოგადოებრივი“ ტელევიზიის „ბორდის“ (ამ სიტყვას შეგნებულად ვიხმარ, თორემ ჩვენი ჭარბად „გასვეცკებული“ ახალგაზრდობა „გოიმად“ აღმიქვამს) შექმნის პრობლემებზე უნდა ჩავგვიჩინებდეს?

რატომ მარტო „საზოგადოებრივი“, სხვა საკითხებსაც ხომ განიხილავსო, მაგალითად საარჩევნო კანონსო, იტყვის მავანი. და მართლაც, დადგა ახალი წელი, ადგილობრივი არჩევნების წელი და დაიწყო საარჩევნო კანონზე ლაპარაკი. დაიწყო „ქუჩის“ ოპოზიციისა და პარლამენტის დაპირისპირება საარჩევნო კანონმდებლობის პერიპეტებით და კავშირებით.


აქეთ პარლამენტარები ბჭობენ, იქით პარლამენტს გარეთ

არსებული პარტიები. დაუსრულებელია მათი წლებში განელები კამათი, ისე, როგორც დაუსრულებელია დღემდინაზე სიცოცხლე, დაუსრულებელია საარჩევნო თემატიკა და მათი მალადღებელი პოლიტიკოსები – ქარდავა, ბაღათურია, კუკავა, სხვები და სხვები, ყველას ჩამოთვლა „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშის“ სადარია.

ასე იყო გუშინ, გუშინწინ, იმის წინ, გურულები რომ იტყვიან „გუშლამ“, ანუ 23 დამოუკიდებელი წლის განმავლობაში და, როგორც ჩანს, ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე ისინი იქნებიან პოლიტიკაში, ვინც დღეს არიან. განინმატება მხოლოდ იმით ეტყობათ, ვინც პარლამენტს ბრძანდება. ასე იყვნენ ისინიც, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ვინც გურუ იყვნენ და დღეს კი – შიგნით. მაშინ აუტ სიტყვას არ იშურებდნენ ხელისუფლებაში ყოფთა დასახსიათებლად. მაშინ საარჩევნო კანონმდებლობა მათთვის უმთავრესი იყო. შევიდნენ პარლამენტში და დამშვიდდნენ. დამშვიდდნენ და განცხრომას მისცეს თავი.

ღირს ტკბილი ცხოვრებიდან უკან გახედვა? არამც და არამც. შენ იმიტომ იბრძოლ, რომ ტკბილად გეცხოვრა, თანაც ხანგრძლივად და თუ ამის გარანტიად არსებული საარჩევნო კანონმდებლობა ზედგამოჭრილია, რატომ უნდა შე-

„უსტანდარტო“ საქართველო



იცვალოს? ერთხელ, ნაცთა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ ხმამაღლა ბრძანა – ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და როგორც გვინდა, ისე მოვიქცევითო. პარლამენტში ბიძინას მიერ შეყვანილი „ოცნების“ უმრავლესობა, ხმამაღლა, მაიასეულ „სიბრძნეს“ არ გაჰყვირის, მაგრამ ჩუმად, გულში იგივე განწყობაზეა, როგორც „ძვირფასი“ მაია.

მაინც რა შეუგნებელია ეს ქუჩის ოპოზიცია?! აცალეთ, ცოტა მაინც აცალეთ „მოცნებე“ კოალიციის ცხოვრების სიკეთებით ტკობა, თორემ თქვენ რომ პარლამენტში მოხვებით, ისინიც აღარ დაგაცლიან! და ეს, რომ არ მოხდეს, დაკარგავთ პარლამენტში შეყუყულებით, თანაც თქვენი გულისთვის, საპარლამენტო ბენდიერებას?! არადა როგორი დასაკარგია არასტანდარტული ცხოვრება?!

სიტყვა „სტანდარტმა“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სულ ახლახანს, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის პირველ პრესკონფერენციაზე, როდესაც „თავხედმა“ ჟურნალისტმა დასვა ყბადაღებული შავი „ჯიპების“ შექმნის საკითხი. „ჩვენი მთავრობისთვის ეს არ არის დამახასიათებელი, ეს – ნაცების ყოფილი ხელისუფლებაში მოკითხეთო“, – ბრძანა პრემიერმა და იქვე დაუმატა – თუ ვინმე მკირადლირებული ავტომანქანის შექმნის უფლება მისცა თავს, უბრალოდ იმის ბრალია, რომ ქვეყანაში „სტანდარტი“ არ არსებობსო, ანუ სახელმწიფო მოხელემ, არ იცის, როგორი პერსონალური ავტომანქანით უნდა ისარგებლოს. მან ისიც აღნიშნა, რომ მიმდინარეობს „სტანდარტის“ შემოღება და მალე ცნობილი გახდება ვის – „ჯიპი“ და ვის – ვირი.

საზოგადოება უნდა ენდოს პრემიერ-მინისტრის სიტყვას „სტანდარტის“ შემოღებასთან დაკავშირებით, მაგრამ რა გარანტიაა, რომ „სტანდარტიც“ ისეთი არ იქნება, როგორც „უსტანდარტობა“? ან საერთოდ, რა შუაშია „სტანდარტი“?

ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ საქართველოს უდაბლესი ცხოვრების სტანდარტის მქონე საზოგადოების „რჩეული“, არასტანდარტული, ტროლეიბუსის ზომის შავი „ჯიპით“ არ უნდა დანავარდობდეს?! ამ ცხოვრების შემყურე არჩეულ-დანიშნული ხელისუფლება თავს კუზიანი „ზაპოროჟეცის“ მსგავს ავტომანქანაზე მეტით სარგებლობის უფლებას არ უნდა აძლევდეს.

შეფერება უშიშროების საბჭოს მდივნის, მთავარი პროკურორის, მინისტრების, პარლამენტარების უზომო სიდიდის ავტომანქანები, ქვეყნის უზომო სიდიდესა და მინისტრს, მაღალი თანამდებობის მქონე მოხელეს, თუ „უსტანდარტოდ“ ის ვერ გაურკვევია, რა სახის პერსონალუ-

რი ავტომანქანით უნდა გადაადგილდეს, საქვეყნო საქმეს როგორღა გაარკვევს?

ან იქნებ საქვეყნო საქმე სულაც არ არის მისი გასარკვევი? და ის, რომ მალალი მოხელეები არ თვლიან, რომ საქვეყნო საქმე მათი გადასაჭრელია – აშკარაა. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც გურიის სოფლების გორაკები ოქროსფრად შეფერილი. ამას რა სჯობსო, იტყვის მავანი, მაგრამ წლის სხვა დროს და არა იანვარში, როდესაც ფერს ხეზე დარჩენილი მანდარინის განსაზღვრავს.

უთაობაა ეს, მაგრამ არა მეპატრონის, რომელმაც ენაგადმოგდებულმა ვის არ მიმართა მანდარინის ჩასაბარებლად, არამედ ადგილობრივი, შემდეგ ცენტრალური ხელისუფლებების. თუმცა, ცენტრალური ხელისუფლება რახანია გვიმტკიცებს ციტრუსების წარმომადგენელ ექსპორტზე. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის გადაყვითლებული გურიის სოფლების მთები.

ერთი ყუთი მანდარინის ჩაბარება რამხელა შევებაა და უსაქმებელი გურიისთვის, რა შემოსავალია მისთვის, საბოლოო ჯამში ქვეყნისთვის – რომ აღარაფერი ვთქვათ ათასობით ყუთზე? როგორც ჩანს, არც ამ დარგშია შემუშავებული მუშაობის „სტანდარტები“.

არადა, ხელისუფლება რომ დღეს შეუდგება „სტანდარტების“ შემუშავებას, შემდეგ ამ „სტანდარტების“ საკუთარ თავზე მოგვებას, საქმე როდისღა იქნება?!

საქმე ან იქნება ან არა. საქართველო ღმერთის, ანუ ევროკავშირის წილხვედრი ქვეყანაა და ის გვიშველის. წელს ჩავდებით ევროკავშირის „ოჩერედში“ და დღეს თუ არა ხვალ მიგვიღებენ. მიგვიღებენ და ისინი იმტყრევენ თავს ჩვენი პრობლემების გადაჭრისთვის. ისინი დაგვიტყვიან „სტანდარტებს“, ვინ რა მანქანით იხვარდოს. ისინი გადამწყვეტენ, როდის და რამდენი მანდარინი, ყურძენი, ხილი უნდა დაიკრიფოს. ისინი იტყვიან სად, რამდენმა ადამიანმა უნდა იმუშაოს, იმღეროს და იცეკვოს, რამდენი შვილი იყოილოს და ა.შ. ჩვენ კი ვიქნებით განცხრომაში, მათ მიერ მოცემული გრანტებითა და ინვესტიციებით.

ასე ეგონათ ბალტიისპირელებს, ბულგარელებს, რუმინელებს, უნგრელებს, სხვა ევროკავშირელებს, მაგრამ დარჩნენ ტკბილი ოცნების ანაბარად. ლიტვამ იმით გაითქვა სახელი, რომ წელიწადში 60000 ლიტველი ტოლებს ამ ქვეყანას და სამუშაოს საძებნელად ისეთ ქვეყნებშიც მიემგზავრება, როგორც აზერბაიჯანია.

დამოუკიდებლობის წლებში არც ერთ ხელი-სუფლებას არ უთქვამს, რომ მხოლოდ მუშაობა, პროდუქციის შექმნა გადაარჩენს ქვეყანას. არც ერთს თავი არ შეუწუხებია სამუშაო ადგილის შესაქმნელად. ყველამ ჩათვალა, რომ საბაზრო ეკონომიკა თავისით განვითარდება, მთავარია, ხელი-სუფლებამ გზა გაუხვინა ასეთს და თვით საბაზრო ეკონომიკა მოაწესრიგებს ყველაფერს.

რომ ეფიქრა – გამოუვიდოდა რამე? არც არაფერი, ვინაიდან ფიქრობს ის, ვისაც ჭკუა და გამოცდილება აქვს. თუ მსგავსს ახლოს არ გაუფლობა, იკავებ თანამდებობას, ტყუილი ლაყვობით ანაგვიანებ საზოგადოების გონებას და ცხოვრობ განცხრომით. საზოგადოებამ, რომ უსაქმურობა არ დაგნამოს, იგონებ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭო, საარჩევნო კანონი, ავტომანქანებზე „სტანდარტების“ შემოღება და სხვა. რა სჯობს ასეთ ცხოვრებას?!

ისე, ცნობისთვის, ახალ ხელისუფლებას იმის შეგნება რომ ჰქონოდა, მაგალითისთვის, ავადსახსენებელი საბჭოთაისკენ გახედვა, უდავოდ დაინახავდა თუნდაც იმ „სტანდარტების“ რეალურობას, რასაც სამომავლოდ გვირდებდა. სააკაშვილმა ყველაფერი იღონა წარსულთან კავშირების გასაწყვეტად.

უნარსულო საზოგადოება კი ისაა, რაც დღეს გვაქვს. ცხოვრებისეული ხიდის არსებობა წარსულსა და აწმყოს შორის ისევე აუცილებელია, როგორც შავი. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ სწორედ უშაერო სივრცე შექმნა, სადაც სუნთქვაც ჭირდა და ცხოვრებაც. ახალმაც თავი არ შეინ უხა ადრე არსებული ცხოვრების გაზიარებისთვის. მან წინამორბედის ცხოვრებისეული „გამოცდილება“ გაიზიარა – უზომო ჭამის, საბიუჯეტო თანხების მითვისების, მსუყე ხელფასების და ხელფასზე უზომო დანამატების, დიდი ავტომანქანების შექმნის, კაბინეტების მოწყობის, ნათესავების დასაქმების, ...რომელი ერთი ჩამოვთვალო.

და გაიბერა სახელმწიფო აპარატი. თუ საბჭოეთის დროს ამა თუ იმ რაიკომში, დაბლაგებლის ჩათვლით, 12-15 კაცი მუშაობდა, დღევანდელ გამგეობაში 3-4-ჯერ მეტი შტატი. „მუშაობსო“, მათზე ვერ ვიტყვი, ვინაიდან მათი მუშაობის ნაყოფი უხილავია. თუ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების – პარტიის ცენტრალური კომიტეტის ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგეების მოადგილეებისთვის, 4 კაცზე ერთი ავტომანქანა იყო გამოყოფილი, რომელსაც ყველა ისინი, ერთად სამსახურში მოჰყავდა და საღამოს სამსახურიდან მიჰყავდა – მათ რა დღე გაუწყრათ. არადა, იმათი მუშაობის მარცხ ქმედების კუთვნილებით რომ გაცილებით მაღალი იყო დღევანდელზე? მთლიანობაში, მაშინდელი საქართველო რომ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, თანაც ყველა პარამეტრით, ვიდრე დღევანდელი?

ჩვენი უბედურება წარსულის აბუჩად აგდებაში, მისი გამოცდილების გაუზიარებლობაშიც არის. ვინც წარსულს ხელალებით ზურგი შეაქცია, სანატრელი ცხოვრება ვერა და ვერ ააშენა. ჩვენ, რა ისეთი ვუნდერკინდები ვართ, რომ ავაშენოთ?!

ჰაპელტ შიპაშვილი, კომპილერი.



ბიუჯეტის დახარჯებით ათი წლის მანძილზე საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის წარმატებულ იმდენი ითქვამდა და იწერა, რომ გარეშე დამკვეთებს შეიძლებოდა შთაბეჭდილება შექმნილიყო, ეს ლამის პირველი ცოდვის დროინდელი მოვლენაა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მთლიანად გაქრა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რაღაც დონეზე კორუფცია მართლაც აღმოიფხვრა: საგზაო პოლიციის თანამშრომლები ქუჩებში დაუფარავად აღარ ყვარდნენ, ნაირ-ნაირი რევიზორები შესამწიქებელი ობიექტების მებატონეებს ფულს აშკარად ვეღარ სძალავდნენ და ა.შ. ყველაფერი ეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთ სარეიტინგო გამოკვლევაშიც აისახა, მიღწეული წარმატებებიც საგანგებოდ აღინიშნა, თუმცა კი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმ გარემოებას, რომ კორუფციას, ასე ვთქვათ, „სახალსო იერი“ „ელექტური გარეგნობით“ შეიცვალა, ქუჩებიდან, გზატკეცილებიდან, ბაზრობებიდან, მაღაზიებიდან და ამ ტიპის მრავალი სხვა ობიექტიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ კადასტრის, ბეგრ-მაძილის, „ნაუფრუს“, თუმცა კი, კაცმა რომ თქვას, იქიდან, ფაქტობრივად, არც არასდროს „წაშლეს“.

კორუფცია, მოგეხსენებათ, ისევე, როგორც უამრავი სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, ნაირსახა, ამიტომაც თითოეული მისი გამოვლენის გამოკვლევის სამომავლო პრევენციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის მასშტაბით ელიტური კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სახელმწიფო შესყიდვებია, რაშიც ყველა სახელმწიფო უწყებისთვის საქონლისა თუ მომსახურებისთვის გამოყოფილი ფული იხარჯება. ამ თვალსაზრისით, მეტად საფულისხმო გამოკვლევის „გამარტივებული“ სახელმწიფო შესყიდვები – კორუფციის რისკები“ შედეგები არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოაქვეყნა. მასში გამჭვირვალე ელექტრონული შესყიდვების, ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენის, აგრეთვე კონკურენტული გარემოსა და გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების საკითხებია განხილული.

გამოკვლევას ავტორებმა 2010 წლის დეკემბერიდან 2013 წლის სექტემბრამდე პერიოდში ქვეყნის სახელმწიფო უწყებებში, ტენდერის გამოუცხადებლად პირდაპირი წესით დადებული 430 ათასზე მეტი კონტრაქტი გააანალიზეს. ლაპარაკი იმდენად მნიშვნელოვან თანხებზეა, რომ გარეგნობა განხორციელებისას კანონიერების დაცვისა თუ დარღვევის გამოვლენა ქვეყანაში ელიტური კორუფციის დონის გარკვევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

კერძოდ, 2011 წელს სახელმწიფო 959 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტები გააფორმა, 2012 წელს – მილიარდ 17 მილიონის, 2013 წლის ცხრა თვის მანძილზე კი – 450 მილიონის. ამასთან, დოკუმენტში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ შარშან არაკონკურენტული წესით გაფორმებულმა კონტრაქტებმა მთავრობის მიერ განწესებული 18 პროცენტი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (შშპ) 4,7 პროცენტია. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პერიოდში პირდაპირი კონტრაქტების ოდენობამ იკლო, ბოლო თვეების მანძილზე კი ისევ სტაბილურად იზრდებოდა. აღნიშნული გამო, გამოკვლევის ავტორები შიშს გამოთქავენ, რომ პირდაპირ გაფორმებულმა კონტრაქტებმა, შესაძლოა, მთავრობის ხარჯის გაუმართლებელი ზრდა გამოიწვიოს იმ მართივი მიზეზით, რომ ამ დროს ფასის დანების შესაძლებლობა არ არსებობს, რასაც ტენდერის გამოსვლის შემთხვევაში კონკურენტული კომპანიის მონაწილეობა განაპირობებს. თანაც, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ელექტრონული შესყიდვების გამჭვირვალე სისტემის გვერდის ავლით კონტრაქტების გაფორმება, სახსრებით გასაგები მიზეზებით, კორუფციის რისკებს ზრდის. კონტრაქტები, შესაძლოა, ხელისუფლებისთან დაკავშირებულ, ანდა უშუალოდ დაკავშირებულ კომპანიებთან დაიდოს.

ამ მოსაზრებას გამოკვლევებულ დოკუმენტში ერთი ცნობა თვალნათლივ ადასტურებს: 2012 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ 6,6 მილიონი ლარის შემოსწორება სწორედ იმ პირებისგან მიიღო, რომელთა კომპანიებმა სახელმწიფოსგან პირდაპირი კონტრაქტებით 160 მილიონი ლარი მიიღო. საგანგებოდ კი ისიცაა აღნიშნული, რომ 2011 წელს იმავე კომპანიებმა ამავე გზით 110 მილიონი ლარი „ათვისეს“.

ესეც თქვენი კორუფციის „ძლევანი გასაცარი“! ენგოში შიშის მოყვანილია კონკრეტული მონაცემები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შესყიდვები, ელექტრონული ტენდერების გვერდის ავლით, პარლამენტის როგორც ყოფილი, ასევე ახლანდელი წევრების კუთვნილ კომპანიებთან ფორმდებოდა. მათ შორის არაა მოქმედი პარლამენტარები გოჩა ენუქიძე (კომპანიები „კია მოტორსი“, „იბერია სერვისი“, 30,9 მილიონი ლარის ღირებულების 415 პირდაპირი გაფორმებული კონტრაქტი); სერგო ხაბუღიანი (კომპანია „ცეკური“) 12,3 მილიონი ლარი ღირებულების 16 პირდაპირი კონტრაქტი; კახაბერ ოქრიაშვილი (კომპანიები PSP, „ნიუ სოპოტიტალსი“), 3,83 მილიონი ლარის ღირებულების 129 პირდაპირი კონტრაქტი; პარლამენტის ყოფილი წევრები კანდიდ კვიციანი (კომპანიები „ენგური 2006“, „ნიუ ქაუნსტრუქშენ“), 31,9 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი 17 კონტრაქტი; თემურ კოხიძე (კომპანია „თეგეტა მოტორსი“), 7,4 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი 214 კონტრაქტი და სხვები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განსახილველ გამოკვლევაში ცალკეა გამოყოფილი 2012 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების, ანუ კოალიცია „ერთი ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ელექტრონული ტენდერების გვერდის ავლით, პირდაპირი წესით გაფორმებული ყველაზე დიდი (5 მილიონ ლარზე მეტი) კონტრაქტების შემსყიდველი პირი, მიმწოდებელი კომპანია, შესყიდვის საგანი და კონტრაქტის ღირებულება. მათ შორისაა, კერძოდ, შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“ (სს „საპარტიზორი ფანდის“ შეიქმნა კომპანია), „ჩალკ ენერჯი“ (თურქეთი), გარდაბანში 230 მეგავატის სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, 163 მილიონ 544 ათასი

ფული, როგორც თანაგებობის მიკვება



ესას თქვენი კორუფციის „ძლევანი საკვირველი!“

დოლარი; შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“, საქართველოს პარლამენტის აპარატი, „სონი ფროფეშნ სალუთიშნ“ (არაბთა გაერთიანებული საამიროები) კენჭისყრის, ტელესაკომუნიკაციო და სამაუწყებლო სისტემები, აგრეთვე თბილისში პარლამენტის შენობის აღდგენითი სამუშაოები, 7 მილიონ 866 ათასი დოლარი; სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, შპს „გაერთიანებული ქართული სტამბა“, ფავორიტი პრინდი ენდ“, ოცი დღით ადრე შექმნილ ოთხ საგამომცემლო კომპანიის გაერთიანებას კონტრაქტი 4 მილიონი სასკოლო სახელმძღვანელოსა და რეკლამის ბუქსებზე, 9 მილიონ 288 ათასი ლარი; საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შპს „ზიმო“, ფოთის მალთაყვის უბანში დენილთათვის ხუთსართულიანი შეიდი შენობისგან შემდგარი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, 9 მილიონ 180 ათასი ლარი; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, შპს „საქსერვისი“, ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერო-ლენტეხი-ლასდილი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, 6 მილიონ 815 ათასი ლარი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს „ზიმო“, ოზურგეთის რაიონის სოფ. ლაითურის ციხემდე მისაყვანი წყალსადენის სისტემის მშენებლობა, 6 მილიონ 741 ათასი ლარი, კიდევ მრავალი სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევის შედეგებში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ზოგიერთი ის კომპანია, რომელიც პირდაპირი კონტრაქტების გაფორმების მხრივ ლიდერებს, ამა თუ იმ დროებით ბევრი საჯარო მოხელის სახელს უკავშირდება და ამის კონკრეტული მაგალითებია

მოყვანილი. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის გამოძიებით დადგენილია, რომ მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ციხის კუთვნილმა კომპანიამ შპს „ნიუ ენერჯიშ“ 2011-12 წ.წ. პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტების მეშვეობით 69 მილიონი ლარი მიიღო, თუმცა კი ბალონი ჩოჩილი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს, საქმეს ამჟამად სასამართლო განიხილავს; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ი.ჩიქოვანის ერთმა კუთვნილმა კომპანიამ შპს „მერო ინტერნეშნელმა“ 36,9 მილიონი ლარი, ხოლო მეორემ, „მაგი სტილმა“ მილიონი ლარი მიიღო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის (2008-12 წ.წ.) ზ.გოგიტიშვილის მეუღლემ ნაროშიძემ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფოსგან 59,2 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტებს გააფორმა; თანამდებობიდან სულ სამ კვირაში კომპანია „ვეროკანდელამ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ორგანიზაცია „ანაკლია-განმუხური რესორტსი“ პირდაპირი წესით გარე განათების ბოქების მინორდებაზე 2,1 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა. 2011 წელს კი „ვეროკანდელამ“ თანამდებობიდან რევიზორული განვითარების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსი გახდა, რის შემდეგ ისევე რამდენიმე კვირაში კომპანიამ 600 ათასი ლარის ღირებულების კონტრაქტი მუნიციპალური განვითარების ფონდთან გააფორმა; კასპის რაიონის მუნიციპალიტეტში კომპანია „ლუბეს“ პირდაპირი წესით 450 ათასი ლარის ღირებულების კონტრაქტი მაშინ გაუფორმა, როცა იქაური საკრებულოს ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ლ.დემეტრაშვილი მისი აქტივობის 50 პროცენტის მფლობელი იყო.

ასეთი მაგალითი, სამწუხაროდ, კიდევ მრავალადა, ყველა მათგანს, ცხადია, არ მოეყვანო, თუმცა კი გამოკვლევის ავტორები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტები 2013 წლის გაზაფხულიდან ინტერნეტში ხელმისაწვდომია და იმასაც დასძენენ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ამ დონის გამჭვირვალობა მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ სლოვაკეთის რესპუბლიკის განვითარების დახმარებისა და შედეგის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადებული ანგარიშის ავტორები გარკვეულ რეკომენდაციებსაც იძლევიან სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, რომლებიც კორუფციასთან ბრძოლას ეხება. კერძოდ, ნათქვამია, რომ მთავრობა უნდა შეეცადოს, კიდევ უფრო მეტად შეამციროს იმ პირდაპირი კონტრაქტების ოდენობა, რომლებიც კომპანიებთან სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული წესებით და ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე ფორმდება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში“ აუნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც უფრო კონკრეტულ ჩარჩოებში მოაქცევს პირდაპირი კონტრაქტების გაცემის წესს. გამოსასწორებელი საშუალებები უნდა იქნებოდეს, რომლებიც ზოგიერთი ტიპის კონტრაქტებს ინტერნეტით გამოქვეყნების ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ესენია, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაფორმებული პირდაპირი კონტრაქტები და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან განხორციელებული მთავრობები.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე უნდა გაძლიერდეს შიდა საზედამხროველეთა მექანიზმები, ხელისუფლების საგამომცემო უწყებებმა, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიქმნა ანგარიშგება უნდა გამოიჩინონ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის უკეთ ზედამხედველობისთვის. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს როგორც ამ უწყებათა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ასევე მათი საზედამხროველო ფუნქციის სათანადოდ შესასრულებლად საჭირო რესურსებით მარაგება.

ოთარ ტურაბალიძე

ალიანსი

მთავრობა ბიუჯეტის ხარჯზე ავტომობილების შეძენის, ჩანაცვლებისა და გალანდინების წესი დაამტკიცა

პრემიერის პრესამსახურის ინფორმაციით, ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს შესასყიდი ავტომობილებისთვის. დაუშვებელია დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა. წესის მიხედვით, სახელმწიფო ორგანიზაციების სატენდერო წინადადებაში მოთხოვნილი იქნება არა მხოლოდ შესაძენი მანქანის საწვების ღირებულება, არამედ მანქანის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ფასი ერთი წლის განმავლობაში (სანაგავის ხარჯი, მომსახურების ხარჯი და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

წესის მიხედვით, სახელმწიფო ავტობარკი დაიფო ოთხ კატეგორიად: IV ყველაზე დაბალი კატეგორიის ავტომობილები გამოიყენება საკურთხევლო-საფეხვედრო მომსახურებისთვის და ქალაქის შიგნით თანამშრომელთა ტრანსპორტირებისთვის. ამ კატეგორიის ავტომობილის ფლობის მაქსიმალურ ფასად განისაზღვრა – 415 400 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში), ხოლო I-ე კატეგორიის ავტომობილები, რომლებიც მოემსახურება მინისტრის მოადგილეებს და სხვა ამ რანგის თანამდებობის პირებს. მსუბუქი (სუფრავა) ავტომობილის მაქსიმალურ ფასად ამ კატეგორიაში განისაზღვრა 431500 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში).

ღირებულება – 416800 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). მაღალი გამავლობის ავტომობილებისთვის – 424300 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). II კლასის ავტომობილები მოემსახურება ქვემოთ ჩამოთვლილი რანგის საჯარო მოსამსახურეებს და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დეპარტამენტის უფროსი, მისთანა თანამდებობის თანამდებობის პირები და სხვა ამ რანგის საჯარო მოსამსახურეები. მსუბუქი ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულებაა 421000 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში). მაღალი გამავლობის ავტომობილების ზღვრული ფლობის ღირებულება – 426500 (ფასში შედის ავტომობილის საწვების ღირებულებას დაამატებული მისი ფლობის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში).

ასევე, დადგინდა ავტომობილების გადასახადების წესი – I ცალი ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დაამატებით I ცალი ავტომობილი. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საჯარო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ მისიებზე, პროტოკოლის ავტომობილებზე, თავდაცვის სამინისტროს გენშტაბზე, ოპერატიული დანაყოფებზე და სხვა განსაკუთრებული სპეციფიკის მქონე უწყებებზე. ჩამოთვლილი კატეგორიის მოსამსახურეებს ავტობარკის სტანდარტების დაცვისთვის, დაევალია სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით ინდივიდუალური პროექტების შემუშავება. როგორც პრემიერ-მინისტრის პრესამსახურში განხორციელდა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დაფუძნებულია რამდენიმე ევროპული ქვეყნის გამოცდილებასა და მომარაგებით.

ინტერპრესი

პოზიცია

საბიძგან და ვისგან დაეინფორმირებული უფლებების დაცვა? უდავოდ 2011 წლის 7 ოქტომბრიდან და ბიძგან ივანიშვილისგან, როცა ათი წლის მანძილზე განდევნილი მცხოვრებმა, ეროვნული საქმეების უხმოდ, უჩუმრად მკეთებელმა ქრისტიანმა კაცმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — ჩართულიყო პოლიტიკაში ერთადერთი მიზნით, სააკაშვილის ჩამოგდებას მიზნით, თანაც, არჩევნების გზით ივანიშვილის გამოჩენა მართლაც მსხვერპლის, ღვთიერი მოვლენილი კაცის გამოჩენასავით იყო — სააკაშვილის დასაბრუნებლად მოდიოდა ქველმოქმედი მილიარდერი, რომელიც სხვებისთვის ფულის საკეთებლად არ აპირებდა ხელისუფლებაში ყოფნას, რომელმაც მოსვლისთანავე განაცხადა, რომ მეტი მოთმენა აღარ შეიძლება, რომ მისი მოთმენების ფიალა 2011 წლის 26 მაისის დამის უსასტიკესმა სისხლიანმა დარბევამ აავსო.

საკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირება სიცოცხლის ფასად შეიძლება დაჯდომოდეს ნებისმიერს. შეეძლო თუ არა ივანიშვილსაც გაეზიარებინა მასავითი მილიარდერი პატარკაცი შვილის ბედი? რატომ უნდა, შეეძლო რატომ შეიკავა სააკაშვილმა ამჯერად თავი? ხალხის რისხვის შეეშინდა? მაგრამ რომელი ხალხის, რომელსაც შიშველი ხელების მეტი არაფერი გააჩნდა? თუკი დასჭირდებოდა, ხალხს ხომ იმავით ადვილად დაარწმუნებდა (ცრუმონმეებით და ტვინის ტელეგამორეცხვებით), რომ ივანიშვილი მოლაღატე და რუსეთის აგენტი იყო; და, თუ ვერ დაარწმუნებდა, არც ამისთვის მოიკლავდა თავს!

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში? ივანიშვილი, ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედით გადაწყვიტა არჩევნების გზით სააკაშვილის დამარცხება, სააკაშვილმა კი ეს გამოწვევა ვაჟკაცურად, მისი მომხრეების იმედზე მიიღო! იმ სააკაშვილმა, რომელმაც 2008-ში არნახული გაყალბებებით ძლივს გადალახა 50%-იანი ბარიერი?! ასეთი უჭკუო ჰგონია ვინმეს მთავარი, ყველაზე მაღალი ნაცი?! მან შესანიშნავად იცოდა, რომ მსგავს რეჟიმებს იარაღის გარეშე, პატროსანი არჩევნებით არსად არ ამხოვნი (ვერ ამხოვნენ) მსოფლიოში! რეჟიმის თავში მდგომი, ძალაუფლებას არასოდეს არ თმობს ნებით, ასე იყო ისტორიულად და ასე იქნება მომავალშიც!

მოკლედ, მოხდა ისე, როგორც მოხდა — ზედმეტი გართულებების და მოსალოდნელი ანტიამერიკული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად ამერიკამ მოთოკა მაღალი ნაცი და ქართულმა ოცნებამაც გაიმარჯვა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ამერიკამ პრაგმატულად გადაწყვიტა ეს გამარჯვება ელიტარბინა, იგი მოერიდა არნახულად დარაზმულ ხალხთან დაპირისპირებას (აქ და ყოველთვის, აუცილებლად ხაზი უნდა გაყვას იმას, რომ ხალხის ერთ მუშტად შეკვრაში, საბრძოლველად განწყობაში, ივანიშვილის ავტორიტეტთან ერთად დიდი წვლილი მიუძღოდა წინააღმდეგობის მოძრაობის, ამჟამინდელი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერებს, რომლებმაც საფრთხეში ჩაიგდეს თავი და არჩევნებამდე ათიოდე დღით ადრე გამოჩნეულ უფლებების დაცვის სააკაშვილის რეჟიმის ქვეყნარბიტი (სახე). მოერიდა, ოღონდ, სააკაშვილი თავის ნაცებიანად არ გაუნიარავს — „ქართულ ოცნებას“, ფაქტობრივად, ქართველ ხალხს თავისი პირობებით მოგვასცა: ნაცების მიერ გაყალბების გზით მოპოვებული (რეალურზე ორჯერ მეტი) დეპუტატობის მანდატების აღიარება; პრეზიდენტისთვის, მთავარი ნაცებისთვის ხელის არხლება; ნაცდეპუტატებთან კომპრომიტიცია და კიდევ ბევრი სხვა (ავგისტოს ომის, ლაფანყურის ოპერაციის, გახმაურებული საქმეების ფიქციური გამოძიების ჩათვლით).

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება არ წასულა ამერიკის ნების წინააღმდეგ, და იმის მიუხედავად, რომ მან მოსვლისთანავე ხელი აუკრა საქართველოს მოსახლეობას პეტიციაზე, რომელსაც მილიონზე(!) მეტი ადამიანი აწერდა ხელს (საკაშვილის კონსტიტუციურ ვადებში(!) გადადგომის თაობაზე), მაშინ, არჩევნების შემდგომ პერიოდში, და შევებითაც არავინ უშვებდა (თითქმის!), რომ „ქართული ოცნება“, ამერიკული პროექტი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამის დაჯერება არავის სურდა. მაგრამ, იქნებ, დღესაც ვინმე ფიქრობს, რომ ივანიშვილმა ამერიკის უკეთესად შემაბიჯა პოლიტიკაში, რომ მისი გადაწყვეტილება ამერიკის ელჩისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ჩვენთვის?!

ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმული ჰგონია ვინმეს ივანიშვილი?! ბევრი ხომ იმასაც ფიქრობდა დიდხანს, რომ მან თავისი ნებით (ვითომ, ამერიკის თვალის ასახვევად!) ამოიყენა უსუფაშვილ-ალასანიას ურეიტინგო პარტიები გვერდში და, რომ მისი ზედმეტად შინაურული ურთიერთობა ამერიკის ელჩთან პირადი სიმართლიდან და ერთი ასაკიდან გამომდინარე (როგორც თავად განაცხადა) იშვა?! იმათთვის, ვინც დღესაც, არჩევნებიდან 15(!) თვის თავზე ასე ფიქრობს, მინდა ვთქვა,

წინა, დამნაშავე ხელისუფლების (მმართველი პარტიის) გასამართლების ნაცვლად მის პოლიტიკურ და ფიზიკურ გადარჩენაზე იზრუნებს, სახელმწიფოს მართვას სანახევროდ (თუ მეტად არა!) და სამართლის აღსრულებას კი, თითქმის, მთლიანად ძველ კადრებს მიანდობს, იმათ, რომლებიც თავად იყვნენ დანაშაულის ჩამდენნი და, რომლებზეც ათასობით საჩივარი იყო შესული პროკურატურასა თუ პარლამენტში!

ერთხელ კიდევ გავისხენოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მიერ სამართლიანობისკენ სავალ გზაზე გადადგმული მთავარი „ჰუმანური“ ნაბიჯები: სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის ვადის განგრძობა 316(!) დღით — 2012 წლის 5 იანვრიდან 2012 წლის 17 ნოემბრამდე (პრეზიდენტობის კონსტიტუციური ვადის დასრულებიდან ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღემდე); დედაქალაქის (ლანჩხუთის) დასახლებების! მერად ნაცი უფულავას მოსახლეობა; უკანონოების აღმსრულებელი პროკურორ-მოსამართლეებისთვის ხელის არხლება (პროკურატურ-

ვალდებულო გაკვეთილებიც უნდა ჩაეუტაროთ პირველივე კლასებიდან, ხოლო 6 წლის ბიჭს თანაკლასელი ჯოჯოხის ლოყაზე პოცნა სექსუალურ ძალადობად უნდა ჩაეუთვალოთ (და ბიჭი რამდენიმე დღით სკოლაში არდაშვებით დავსაჯოთ), თუ ცელქი ბავშვები აუცილებლად ფსიქოტროპული პრეპარატებით უნდა გავჭყვიპოთ (პრომოსექსუალურობის მკურნალობა კი ავკრძალოთ!) და ქალაქის ჩიტების გაშვებისთვის ხელბორკილდადებული 6-7(!) წლის ბავშვები პოლიციაში გავაქანოთ, და თავი იმით გავიმართლოთ, რომ ასეა მიღებული მთელ ევროპა-ამერიკაში და ევროპელობა თუ გვინდა, ჩვენც უნდა ავყვეთ მათ ფეხის ხმასო, თუ ყველაფერ ამას იმასაც დაემატებოდა, უნდა დაევიწყებინათ სიტყვები „ეროვნება“, „პატრიოტიზმი“, „დედ-მამა“, „სანაცვლოდ კი, №1 და №2 მშობელი შემოვიღოთ და, როგორც ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი მოითხოვს „სამშობლო“, „ხალხი“ და, საერთოდ, ეროვნული იდენტურობის დამადასტურებელი სხვა ცნებები „სანაცვლად მოვისროლოთ“, მაშინ ასეთი უზნეო „ღირებულებების“ მქო-

ისევ ხელისუფლებაზე

რომ ეს დიდი მიაბიჯობაა და ამის მიხედვრას სულაც არ სჭირდება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნიუანსების ცოდნა, სავსებით საკმარისია ამერიკა-ნატოს მონაწილეობით მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, და არა — სიენტიზმის ინფორმაციების თუთიყუშოვით გამეორება!

ივანიშვილს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით რომ შეერჩია არაეროვნული, თავისუფლების ინსტიტუტსა და სოროსის ფონდში დაფრთხილებული პარტიები, მაშინ არჩევნებში გამარჯვების შემ-

რასი მხოლოდ 30%-ით გადახლდა შემადგენლობა, მაშინ, როცა, თავად მთავარი პროკურორის კბილაშვილის განცხადებით, 333 პროკურორიდან 332-ზე(!) საჩივარი იყო შესული და, თანაც, თითოეულზე არა ერთი, და არა — ორი; მოსამართლეებს კი, საერთოდ არ შეხებია ახალი ხელისუფლება არცერთ დონეზე; ალარაფერს ვამბობ გუბერნატორ-გამგებლებად და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავე ნაცმოძრაობის კადრებზე.

სამწუხაროდ, ახალ, უკვე გვარიანად

ნე, ადამიანის უფლებების უცერემონიოდ შემზღუდავ ევროკავშირში (და ნატოშიც), იქნებ, აგვისტოს ვინმე, რა ჯანდაბა გინდა?! მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო სწრაფად ავითვისოთ ეს და სხვა თანამედროვე ევროპული „ღირებულებები“? რომელი მორალური კრიტერიუმებიდან გამომდინარე გვექაჩებიან იქ, სადაც ერთ თაობაში გავიწყვნილი და გადაგვარდებილი ყველაფრის(!) უფლების მქონენი?! დავიჯერო, ვერ ხვდებიან ბნელ, სატანურ ძალებს რომ ემსახურებიან?! ძალიან კარგადაც ხვდებიან, მათ, უბრალოდ, არ ეთმობათ სავარძლები, ჯერ არ უშოვიათ საკმარისად, თუმცა, იქნებ, მემლება — სულ ხალხზე ფიქრში ათენ-ალამებენ და თეთრად გათენებული ღამეების საკომპენსაციოდ იზრდიან და იზრდიან ხელფასებს?!

არ შეიძლება გვერდი ავუარო პრეზიდენტის ერთობ „საინტერესო“ კომენტარს ხელფასებთან დაკავშირებით. თურმე, იმ მოტივით კი არ უთქვამს მარგველაშვილს უარი 9 000-იან ჯამაგირზე, რომ გუშინ პრეზიდენტად არჩეულს ჯერ თითო თითზე არ დაუკარებია, არაფერი გაუკეთებია თავისი ხალხისთვის და სააკაშვილზე(!) 2-ჯერ(!) მეტი ხელფასის დანიშნვა ცოტა(!) უხერხული იქნებოდა მისი მხრიდან; იმიტომ კი არა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ხალხისთვის თვალზე შეხედვა გაუჭირდებოდა, პენსიონერზე (ანუ დღევანდისთვის მიღებულ საარსებო მინიმუმზე) 60-ჯერ დიდ ხელფასს თუ დაინიშნავდა; არა, ბატონებო, შემაფერხებელი მიზეზი, მისივე პირით გაცხადებული ყოფილა ის, რომ „ინფორმაცია მიუღიათ იმის თაობაზე, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ქვეყნის პრეზიდენტებზე უფრო მაღალი ხელფასი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონიათ“! ჰოდა, აბა რას იტყვის დემოკრატიული დასავლეთი უზენაეს მოსამართლეზე მეტი ხელფასი თუ გამოიგონა და, ამიტომაც(!) „დავეთანხმეთ საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი სასამართლო ხელისუფლების მსვეურებზე ნაკლები ყოფილიყო“! და, მარგველაშვილიც მხოლოდ(!) 6 900 ლარამდე გაზრდას დათანხმდა, ანუ 100 ლარით ნაკლებს, ვიდრე უზენაეს მოსამართლის ხელფასია (რამხელა დიდსულოვნებაა!), რაც ზუსტად 46-ჯერ დიდია ყველათვის ერთნაირად დადგენილ პენსიაზე — 150 ლარზე! ისე, კულაშვილს 9 100 რომ ჰქონოდა ხელფასი, მაშინ 9 000-ის დანიშნაც არავითარი პრობლემა არ იქნებოდა, მთავარი ყოფილა გარკვეული ბალანსის დაცვა უზენაეს მოსამართლესა და პრეზიდენტს შორის, და არა — პენსიონერსა და პრეზიდენტს შორის!

მასხენდება ივანიშვილის მიერ მარგველაშვილის დახასიათება, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატად წარუდგინა იგი საზოგადოებას — აქაოდა, იმდენად კეთილშობილია მარგველაშვილი, რომ როდესაც მრჩეველთა გუნდი შეკვრიბე სა-



დეგ პარლამენტის თავმჯდომარის, თავდაცვის მინისტრის და სხვა საკვანძო პოსტების კი არ ჩამოიშორებოდა მათ ცენტრში თუ პერიფერიაზე, არამედ, ნელ-ნელა, ტექნიკურად ჩააჩოჩებდა; და თავადაც, ერთ წელიწადში მითიურ სამოქალაქო სექტორში არ გადაინაცვლებდა.

პოლიტიკაში, უფრო ზუსტად, ხელი-სუფლებაში ერთნაირი მოსვლა-წასვლა ივანიშვილის მოფიქრებული რომ არ არის, ესეც ადვილი მისახვედრია. **მილიარდების მშენებელმა ბიზნესმენმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ერთ წელიწადში ბიზნესს ვერ ააწყობ კაცი ხეირიანად, და ორი ათეული წლის მანძილზე დაქვე-ული ქვეყნის ფეხზე დადგომაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებია, მით უფრო, ისეთი სა-მართლის და დემოკრატიის დამყარება, როგორც, დაპირებისამებრ, „ევროპასაც გაავკვირვებდით“!**

პრაქტიკულად განუხორციელებელი ეს დაპირება მინც ირწმუნა გულუბრყვილო ამომრჩეველმა, რომელსაც ივანიშვილის პატიოსნებასთან ერთად მისი მილიარდების დიდი იმედიც ჰქონდა, და ამიტომაც გვესმოდა: „ასი დღე ვაცალოთ“, „ცოტა კიდევ ვაცალოთ“ და სხვა მსგავსი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოება გაცილებით მაღე მოველოდნენ, ვიდრე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და მისვდა, რომ არაფერი მსგავსი არც კი იგეგმებოდა! არც ამის მიხედვრა იყო ძნელი — როგორ უნდა აღადგინოს (გნებავთ, დაამკვიდროს) ხელისუფლებამ სამართალი ქვეყანაში, დიდი სურვილის შემთხვევაშიც, თუკი იგი

მოძველებულ ხელისუფლებას თავისი სამართლებრივი პოლიტიკის, ნორმალური ადამიანისთვის მისაღები ახსნა, არ აქვს! თავისი უუნარობის ახსნას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, დასავლეთის „ვერგაგებით“ ცდილობენ და ამას ისე წარმოაჩენენ, თითქოს, არ მოელოდნენ ასეთ „მეგობრულ“ რჩევებს, ანუ ზენოლას ამერიკისგან. ვინ დაიჯერებს, რომ პოლიტიკაში ჭიპოჭრილ ადამიანებს და, თუნდაც, პოლიტიკაში ახალფეხ შემოდგმულ კაცს ამერიკის პოზიციაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

როგორც იტყვიან: ერთი იმის ტურა გამხადა და გამაგებინა, თუკი დამნაშავე პრეზიდენტს იმპიჩმენტს ვერ ვუნყობთ და ვერც ძალაუფლებას გავაგდებინებთ ხელიდან საპრეზიდენტო ვადის ამონ ურვის შემდეგაც კი, თუ სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავე ნაცმოძრაობის რეჟიმის განსაცხვების სკამზე დასმას ვერ ვახერხებთ, თუ საგარეო კურსს ვერ ვცვლით ჩვენს ჭკუაზე ერთი გრადუსითაც კი, და თუ, სამაგიეროდ, დასავლური გარყვნილების და პედერასტობის ხელშეწყობაში შეგვიძლია თავის გამოჩენა მხოლოდ, თუ საქართველოს 1 700-წლოვან მართლმადიდებლობას (რომელმაც დღემდე შემოგვინახა, როგორც ქართველი ერი!) ყველა სხვა რელიგიასთან და ათასი ჯურის სექტებთან ვათანაბრებთ, თუ ბავშვებს დედაენასთან ერთად ორგაზმის და მასტურბაციის ანა-ბანაც და ჰომოსექსუალობის სიყვარულის სა-

პარლამენტო არჩევნების წინ, მან ერთადერთმა განაცხადა უარი ანაზღაურებაზე. არა, ვინც უარი არ თქვა, იმათზე ცუდს კი არ ვამბობ, მაგრამ მარგველიშვილის ეს ქცევა მის ღირსებაზე მეტყველებს, — რაღაც ამის მსგავსი იქნება. ცოტა უცნაური „კეთილშობილება“ — მილიარდერისგან შემოთავაზებულ გასამრჯელოზე კაცმა უარი თქვა და გაჭირვებული ხალხისგან, ანუ ბიუჯეტიდან კი ისე გაიორმაგო ხელფასი მოსვლისთანავე, ვითომც ეს მატება რამდენიმე ათასი კი არ ყოფილიყო, არამედ, ათიოდე ლარი, პენსიების მატების ანალოგიური! და ამ ნაბიჯის გამართლებასაც შეეცადო — ხელისუფლებაში ყველას ეზრდება ხელფასებიო! ვის უფრო მეტი კეთილშობილება მოეთხოვება ამ კუთხით (და, საერთოდაც) — რიგითი ფილოსოფოსის მილიარდერის ჯიბის წინაშე, თუ პრეზიდენტად არჩეულ ამ ფილოსოფოსს ხალხის ფულის, სახელმწიფოს ბიუჯეტის წინაშე!

ამას წინათ (4 იანვარს) ორი პატივსაცემი ადამიანი „ობიექტივი“ საუბრისას აღნიშნა: „ისეთი ჭირი მოვიშორეთ, ივანიშვილმა ისეთი რამ გაუკეთა საქართველოს, სხვა რომ არაფერი გაკეთდეს, მართლაც ამისთვის უნდა ვიყოთ მისი მადლობელი“! მეც სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას და სრული უმადურობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან იმ სიკეთის დაგვიწყება, რასაც იგი უშურველად იღებდა წლების განმავლობაში სახელმწიფოსთვის, ეკლესიისთვის, კულტურის და მეცნიერ-მუშაკებისთვის (თუმცა, ამ დახმარებამ ვერ გადაარჩინა თავად მეცნიერება — 10 წელიწადში ისე დაგვეგრძობა თავზე კომუნისტების დროს, 70 წლის მანძილზე ნაშენი მეცნიერება, რომ ძნელი სათქმელია, თუ მოვახერხებთ ფეხზე დადგომას ოდესმე!).

ნამდვილად დიდი სიხარული მოგვიტანა ივანიშვილის მოსვლამ და შემდეგ მისი წინამძღოლობით არჩევნებში გამარჯვებამ. მაგრამ გავიხსენოთ 2003 წლის 23 ნოემბერიც, როცა არანაკლებ, ვიდრე 2012 წლის 1 ოქტომბერს, ვზეიმობდით გამარჯვებას, ზუსტად ასე გვიხარობდა: ეს რა ჭირი მოვიცილეთ, ვინ იფიქრებდა, რომ შევარდნაძეს უსისხლოდ გადავაგდებდითო! რაც მოყვა ამ აღფრთოვანებას, ყველას მოგვეხსენება და კარგად მოგვეხსენება ამის მიზეზიც — შევარდნაძისთვის ხელის არხლება, თითქოს, თეთრი მელა კი არა, თეთრი ანგელოზი ყოფილიყო!

მართალია, ჭირი კი მოვიცილეთ, ერთხელაც და მეორედაც, მაგრამ, როცა ჭირის ვირუსების მატარებელი პარტია თავის ლიდერიანად არ იხვევება და, როდესაც მალაღობა ტრიბუნაზე გვესმის, რომ მათი გასამართლება კი არა, მათთვის მაშველი რგოლის გადაგდება საჭირო და, როდესაც სახელმწიფოს მართვა იმათ გადააბარა ივანიშვილმა, ვინც ეს მაშველი რგოლი აქვს ნაცებისთვის გამზადებული, სად არის გარანტია, რომ პერმანენტული დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულიები (ძალაუფლება რყვისო, ხომ ამბობენ!), მხოლოდ ხელფასების მომატებით დაკმაყოფილებიან და შევარდნაძე-სააკაშვილს არ გადააჭარბებენ ხვალ! არც 2003 წელს ეგონა ვინმეს (ერთეულების გარდა), დასავლეთში განათლებამიღებულნი სააკაშვილი შევარდნაძეს თუ ჩამოიტოვებდა განუკითხავობაში უკან, თანაც, საგრძნობლად! მსგავსი რამ რომ არ განმეორდება, ამის გარანტია არ არსებობს! შეიძლება ფიზიკურ ანგარიშსწორებას ადარებდით, მაგრამ, სამაგიეროდ, ისე დაგვაკნინონ სულიერად, რომ ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყოს! მხედველობაში მიქვს ერის გახრწანა-გალიბერასტება — პედერასტებისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა თავისი 17 მაისებით, ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონება, პედოფილიის სექსობრივ ორიენტაციად მიჩნევა, განათლების დონის დაცემა (ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდა ხომ დიჯეებსა და რეპერებში ეძებს ვაჟაფშაველას!), ქართული ენის დაკნინება და ინგლისურის აღზევება, ყოველივე ქართულის უკანა პლანზე გადაწევა (ტელეკონცერტებზე, კონკურსებსა და საახალწლო გადაცემებშიც 20 სიმღერიდან 2-3 თუ სრულდება ქართულად)!

ყოველივე ამის შემდეგვარემ (გუშინ და დღესაც!) როგორ დავიქვართო, რომ ხვალ შეკეთება იქნება, რომ ქართველ ერზე, როგორც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელ ხალხზე, ვინმე იზრუნებს. სი-

ხარულით დავიჯერებდი, მაგრამ 15 თვის მანძილზე ამის ნიშნები მაინც ხომ უნდა და დავგეგმავს! ერთი სიტყვით, იმედები დიდი იყო, ოცნებები კიდევ უფრო დიდი, მაგრამ რამდენიმე თვე საკმარისი გახდა იმისთვის, რომ კარგად გავრკვეულიყავით (თუმცა, არა ბოლომდე!), თუ ვინ ვინ არის — ხელისუფალი, პოლიტიკოსი, ექსპერტი, ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ ტელევიზია, მართლა ხალხმა გავიმარჯვეთ არჩევნებში თუ მისი სცენარიც, „ვარდების რევოლუციის“



მსგავსად, ერთი „პოჩერკით“ იყო დანერვილი.

ხელისუფლებაზე სალაპარაკოს რა გამოლევს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ივანიშვილისგან ბევრ რამეს მოველოდით, მაგრამ ნამდვილად არ მოველოდით, თუ მილიარდერი კაცი, სააკაშვილის მიერ მისთვის წართმეულ 80 მილიონს, ანუ მთლიანი ქონების 1.25%-ს (2012 წლის მონაცემებით ივანიშვილის ქონება 6.4 მილიარდი იყო) არჩევნებში გამარჯვებიდან პირველივე დღეებში დაიბრუნებდა, ხოლო 10 ათას ქონებანართმეულ ადამიანს, რომელთა უმეტესობას ქონების 100%(!) წართვეს ნაცებმა, არც ერთი თეთრი არ დაუბრუნდებოდა არჩევნებიდან 15 თვის შემდეგაც კი! მეტად გულსატკენია ასეთი ქმედება იმ კაცისგან, რომელზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდა ქართველ ხალხს სულ ცოტა ხნის წინათ, და, იმავდროულად, შეუზრაცხყოფელიც, რადგანაც ივანიშვილი ამ დაზარალებული ხალხის (და, საერთოდ, მთელი მოსახლეობის) იმაში დარწმუნებას ცდილობდა, რომ ქონების დაბრუნება, თითქოსდა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ხოლო კომპენსაციას ბიუჯეტი ვერ გაწვდებდა!

ბევრჯერ ითქვა, მაგრამ კვლავ გავიმეორებ ხელისუფლების საყურადღებოდ: ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან ქონებანართმეულთა მართლმართვის ზარალის ანაზღაურება ახალი უსამართლობა იქნება, ვინაიდან ამ ქონების წართმევის თუ შუამავლის ვინაობა ზუსტადაა ცნობილი! რა უნდა მათ დაჭერას და მათი ქონების კონფისკაცია, და თუ ისინი არაფერი შუაში არიან და ზემდგომი პირების დავალებას ასრულებდნენ მხოლოდ (რაშიც არავის ეპარება ეჭვი!), მაშინ ამ ზემდგომი პირების დაპატიმრებას და მათი ქონების (სახლ-კარის, ავარაკების, ბიზნესის და ანგარიშების) კონფისკაცია რა უდგას წინ?

ცხვირიდან ძმარი უნდა ადინო და ყველაფერს დაფქვავენო, — თქვა ერთმა ჭკვიანმა კაცმა, მაგრამ არც ეს გახდება საჭირო, ისედაც დაფქვავენ, როგორც კი გაიგებენ, რომ თავისუფლებასთან ერთად დაკარგავენ რაც რამ უშოვიათ, რომ ცოლ-შვილი ცარიელ-ტარიელი დარჩებათ ულუკმაპუროდ! ეს ძნელი მისახვედრია? რა თქმა უნდა, არა! იგი ძნელია შესასრულებლად, რადგანაც ხელისუფლება ხალხის ნაცვლად ამერიკაზე ფიქრობს, მის მიერ მოცემული დირექტივების პირნათლად შესრულებაზე! ისე, ხელისუფლება შევასხსენებ, რომ ჩილს დიქტატორმა პიროვნებამ, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ წართმეული ქონება დაუბრუნა პატ-

რონს, აბსოლუტურად ყველას, და „ბიუჯეტს დაანება ტვირთადო“, არ უთქვამს! სწორედ ამ ნაბიჯით და ბიზნესისთვის მაქსიმალური ხელშეწყობის გზით (და არა, წილში ჩაჯდომით!) შესძლო პიროვნებამ ეკონომიკის აყვავება, და 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ ჩილე აქცია ერთადერთი სახელმწიფოდ დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელსაც საგარეო ვალი აღარ ჰქონდა! ჩვენ კი, 20 წელზე მეტია დემოკრატია გვაქვს, თანაც ბოლო 10 წელია — თითო საჩვენებელი, სანიმუშო, საგარეო ვალი კი ხუთჯერ გაგვეზარდა!

დემოკრატია და, შესაბამისად, დემოკრატიულ არჩევნებს დიდი ხანია, სახელი აქვს გატეხილი ყველგან, განსაკუთრებით — ჩვენთან. ამდენი მამაძაღლობა და უსამართლობა, რაც დემოკრატის სახელით ხდება მსოფლიოში, ისტორიას არ ახსოვს. 20 წელი დასავლური დემოკრატისკენ სწრაფვამ და 10 წლის წინათ, ამერიკა-ევროპის უშუალო მონაწილეობით და დახმარებით „სანიმუშო დემოკრატია“ დამყარებამ რა ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ ზნეობრივ აღმავლობამდე მიგვიყვანა, ამის მოწმენი ყველანი ვართ დღეს! ფაქტია, არანაირმა არჩევნებმა ჩვენ არ გვიშველა — სახელმწიფო ჩანაგდება, ხალხი ღატაკდება, ნაძირლები კეთდებიან, სამართალმა ჭირი მოგვჭამა, მორალი გაქრა, პატიოსნება გარყვნილებამ ჩანაცვლა, განათლება ჩაკვდა, მეცნიერება დასამარდა, ემიგრაცია არ იკლებს, დემოგრაფიულ კატასტროფას გვიწინასწარმეტყველებენ, „დედამამას“ ორი დედით ან ორი მამით გვიცვლიან, „სამშობლო“ და „ეროვნება“ კი სანაგვეზე მოიკითხეთო, გვირჩევენ!

კი ამბობენ, იმედოვნობო! როგორც კვდება, ეს მეც მიიქვამს ადრე და სწორედ ამ ოპტიმისტური პრინციპიდან გამომდინარე ვწერდი წერილებს წლების მანძილზე შემართულად, არ მინდოდა იმედი ჩამიკლებო ბევრი ფაქტის დაჯერება, მით უფრო, არ მინდოდა ჩემში შემოპარული პესიმისტური განწყობის საჯაროდ გაცხადება, სხვებისთვის გულის გატეხვა, მაგრამ საქართველოს უახლესი 20-წლიანი წარსულის გათვალისწინებით და, რაც მთავარია, დღევანდელი (!) მწარე რეალობიდან გამომდინარე, მე პირადად, იმედი გადამეწურა (სასწაულად დარჩენილ ერთ პატარა ნაპერვ კალს რა გააღვივებს, არ ვიცი!). ღმერთმა ქნას, ცვდებოდ და მართლა ვეღირსოთ ჩრჩენების გზით სასურველ ხელისუფლებას, მაგრამ, როცა სახელმწიფოს განვითარების სცენარი წინასწარა დაწერილი და არჩევნებში შესაბამისად იმართება, როცა საარჩევნო კოდექსი, კომისიები, ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები ერთი ძალის ხელშია, როცა სამთავრობო კადრების შერჩევა ერთი წყაროდან ხორციელდება (თავისუფლების ინსტიტუტი, სოროსის ფონდი, სიაი, ენდიაი და მისთანანი), როცა ტელევიზიები 24 საათი ტვინს გვიბურღავენ მიზანმიმართულად, როცა პრემიერ-მინისტრი ახალ საარჩევნო წესს — თვითმმართველობის და მერების 40 %-იანი პრინციპით არჩევას, სამართლიანობის აღდგენად გვასალებს და, ჩვენც, გაბითურებულები ლაპარაკის მეტს რომ ვერაფერს ვახერხებთ, რის იმედზე უნდა ვიყო(თ), ცოტა ძნელი გასაგებია! რაც უფრო დიდხანს მოვიტყუებთ „დემოკრატიული არჩევნებით“ თავს, მით უფრო დიდხანს ვივლით მანკიერ წრეზე!

ვფიქრობ, ერთი ეროვნული „დიქტატორი“, რომელიც პინოჩეტ-კადაფუცი თუ არა, ლუკაშენკოსავით მაინც მოგვედგება — არც მინებს და სტრატეგიულ თბიქტებს გაგვიყიდდა უცხოელებზე, არც სვანეთს და სხვა კუთხეებს გაანადგურებდა განტყუნი ჰესებით, ნაცებისთანა გამყიდველ ხალხს თავის ადგილს მიუჩინდა და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენით აფხაზეთ-სამჩაბლოს დაბრუნების იმედსაც ჩაგვისახავდა, დღეს ნამდვილად სანატრელია!

იაკოვ ლეჟავა.
17 იანვარი, 2014.

მითარება როლის დამთავრება გამოიქცა?

შვანიას სამშაბათი შვითხარაში ჩასული
თბილისის პროკურორი და საქმის
გამომიკვლავი პაპარი მოხსნას?

ზურაბ შვანიას ცხედრის ექსპუზიციის თარიღი გარკვეული არ არის. პროკურატურამ ყველა ადამიანი დაკითხა, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ნათელა მოდებაძე, რომლის განცხადებით, მან დაინახა, თუ როგორ შეიტანეს პრემიერ-მინისტრის ცხედარი იმ სახლში, სადაც მთავრად გაცხადებული ვერსიით, ზურაბ შვანია და რაულ იუსუპოვი გაბით გაიგუდნენ.

საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ნათელა მოდებაძე 2005 წელს, საბურთალოს ქუჩის 53 ნომერში, იმ კორპუსში ცხოვრობდა, სადაც შვანიას და იუსუპოვის გვამები იპოვეს. პირველ სართულზე, ერთოთახიანი ბინა მოქალაქე ეკა კიკიანს ეკუთვნის. ნათელა მოდებაძე ამტკიცებს, რომ საკუთარი აივნიდან დაინახა, რამდენიმე ადამიანმა როგორ შეიტანა კიკიანის ბინაში ორი გვამი. მოდებაძის მტკიცებით, ეს ადამიანები კორპუსთან შავი ფერის ჯიპებით მოვიდნენ.

როგორც ცნობილია, 2012 წლის ოქტომბერში მთავარმა პროკურატურამ ზურაბ შვანიას საქმის გამოძიება ხელახლა დაიწყო. პროკურატურა ამ დრომდე ამტკიცებს, რომ გამოძიების შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილი მალე გახდება. 2012 წლის 27 ნოემბერს გოგა შვანიამ საკუთარი ძმის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული მასალები პროკურატურას გადასცა და ასევე გაეცნო პროკურატურაში ამ საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

გარდაცვლილი პრემიერის ძმა, ჯერჯერობით, გამოძიების დეტალების გამხელისგან თავს იკავებს, რადგან, მისი მოსაზრებით, აღნიშნული საქმე დაკავშირებულია კონკრეტულ გვარებთან. მისი თქმით, ზურაბ ადვიშვილი, მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი არიან ის ადამიანები, ვინც ამ საქმის მასალებს აყალბებდნენ და ცდილობდნენ ამ საქმის მიჩქმალვას.

ზურაბ შვანიას ცხედრის ექსპუზიციის პროკურატურა შეიცვარის ლაბორატორიის ჩართვას გეგმავს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საუბარია ექსპუზიციის ახე, რათა არ გაჩნდეს რაიმე შეკითხვები. ცხედრის ექსპუზიციასთან დაკავშირებით ასევე საუბარია ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიასთანაც.

„პროკურატურა გეგმავს შევიცარიის ლაბორატორიის ჩართვას, ვაიმერებო, შეიქმნას გარკვეული კომისია. ასევე მიმდინარეობს კონსულტაციები თომას ჰამერბერგთან, რათა ისიც ჩაერთოს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს ეს პროცესი. ჩვენ ვართ მოტივირებულნი, რომ ამ საქმის ირგვლივ გამოიყვანოს იქნას წარმართული და არც ერთი კითხვა აღარ დარჩეს“, — აცხადებს ირაკლი ლარიბაშვილი.

კონტროლისა და იუსტიციის სამინისტროში გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი მადონა ლიბრაძე „ფეისბუქის“ საშუალებით გამოეხმაურა.

„ფარცხალაძეს რომ აქებენ განსაკუთრებულად, რატომ იმას არ ამბობენ, მაია მწარიაშვილი პაერში რომ მოხსნეს, სწორედ შევიცარიაში იყო ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებით მემორანდუმის გასაფორმებლად და ცნობისათვის, პროკურატურის წინა ხელმძღვანელობის დროს დაიწყო მოლაპარაკება ამ თემაზე და ეს ახალი დაგეგმვა არ არის. საუბარია შვანიას ექსპუზიციის“, — წერს იგი.

ამ ინფორმაციას პროკურატურის ყოფილი პრესსამსახურის უფროსი ხათუნა პაიჭაძე ადასტურებს.

„ნამდვილად ასე იყო. მაია მწარიაშვილი და ამ საქმის გამოძიებელი, შევიცარიაში ჩასულები უკან დააბრუნეს“, — აცხადებს იგი, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში განცხადება არ კეთდება.

ჩვენ დაუკავშირდით ქალაქ თბილისის ყოფილ პროკურორს მაია მწარიაშვილს, თუმცა, მან კომენტარისგან თავი შეიკავა.

თამთა ძარჩავა

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ბასულ კვირას საქართველო დიდად შეარყია წმინდა-რიანმა სკანდალმა უჩვეულის მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიაში მოწესრიგების ევროკავშირის წარმომადგენლის ფილიპ ლეფორის გამონათქვამებთან დაკავშირებით. სამხრეთი ოსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტთან ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრის დროს ფრანგმა დიპლომატმა თითქოსდა განაცხადა, რომ სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა – ეს არის რეალობა, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს.

შემდეგ თბილისში ყოფნის დროს ბატონმა ლეფორმა განაცხადა, რომ მისი სიტყვები არასწორად გაიგეს, თუმცა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაინც გამოთქვა სერიოზული შეფოტება და განმარტებები მოითხოვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არასოდეს აკრიტიკებდა ევროპულ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს. ეს არც არის გასაკვირი, ევროკავშირმა ხომ, პირველ რიგში კი საფრანგეთმა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტაში, როდესაც, ბერის აზრით, საქართველოს, როგორც ასეთის, ბედი ბენეზე ეკცდა. საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეთანხმება გახდა საფუძველი სამ-

შუალებების ცნობებს, ვინაიდან ცხინვალში არანაირი ინტერვიუ არ მიუცია.

მიუხედავად ამისა, დიპლომატმა მართლაც პირდაპირ არ უარყო თავისი სიტყვები და არ მოახდინა ფრაზის დეზაფორმაცია იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშაობა რეგიონში ჩამოყალიბებული რეალობის გათვალისწინებით.

ამავე დროს, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განიდა ვიდეორგოლი კადრებითა და ფილიპ ლეფორის პრეზიდენტ თიბილოვთან შეხვედრის ხმით. საუცხოოდ ისმის, რომ ფრანგმა დიპლომატმა მართლაც წარმოთქვა სიტყვები, რის შესახებაც იტყობინებოდნენ სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

გასაოცარი იქნებოდა, თუ ცხინვალში ყოფნის დროს ევროკავშირის წარმომადგენელი რაიმე სხვის შესახებ საუბრობდა. საქართველოც ხომ ასევე მუშაობს შექმნილი რეალობის ფარგლებში – როდესაც ხვდება უჩვეულო სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლებთან. ამას გარდა, თუ თბილისში სამხრეთ ოსეთის მიმხედველად „ოკუპირებულ ტერიტორიად“, რატომ არ იწვევს პროტესტს ევროკავშირის წარმომადგენლის სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის თავად ფაქტი.

სირბი კაპანაძე: საერთაშორისო გაერთიანების პატივისცემა აღიარებული საზღვრებისადმი. არ მიმართა, რომ ევროკავშირის როდესმე შეცვლის თავის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს შეეხება ყველა ქვეყანას ორი თუ სამი სახელმწიფოს გამოკლებით, რომლებიც დიდად არ აფასებენ საერთაშორისო უფლებებს.

პოლიტიკოლოგმა პეტრე მამრამაძემ RFI-თან საუბარში აღნიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობებზე საქართველოს დიპლომატიური უწყების რეაქცია სერიოზულ შეცდომად მიაჩნია.

პიტრი მამრამაძე: ყოველივე მომხდარი საგარეო საქმეთა სამინისტროს და ჩვენი მთავრობის უხეში შეცდომის შედეგია. ფილიპ ლეფორი – ცნობილი და მეტად გამოცდილი დიპლომატი. ის იყო საფრანგეთის ელჩი ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ 2006 წელს, როდესაც სააკაშვილი აპირებდა ცხინვალში იარაღით შეჭრას, მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა ამ ავანტიურის თავიდან ასაცილებლად. სწორედ ლეფორი იყო იმ მომენტში ყველაზე აქტიური. ლეფორი – დიდი გამოცდილების დიპლომატი, ნამდვილი პროფესიონალი და იგი ახორციელებდა მხოლოდ იმ პოლიტიკას, რასაც აწარმოებს ევროკავშირი საქართველოსთან, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით. ლეფორს სხვა არაფერი გაუკეთებია და არც განუცხადებია. ამიტომ, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასეთი რეაგირება მოახდინა – ეს უხეში შეცდომაა.

– როგორ დააზარალებდა სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების მოქმედებას ამ შემთხვევაში. ისინი ხომ ინფორმაციის პირველი წყაროა.

პიტრი მამრამაძე: უნდა ვიცოდეთ: თუ სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებას ხელს აძლევდა ლეფორი, ისინი ამის შესახებ გამოთქვამდნენ რაიმე აზრს? რასაკვირველია, ამას დაფარავდნენ. სინამდვილეში ლეფორს არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს და ამის შესახებ მან თავადაც განაცხადა. ისევე, როგორც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელმა ფილიპ ლეფორმა. იმედი მაქვს, მომხდარი დიდ გავლენას არ მოახდენს ევროკავშირის დამოკიდებულმა ხელსაქართველოსთან დაკავშირებით. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არასასიამოვნო ფაქტია.

– საქართველოს საექსპორტო გაერთიანებამ გამოთქვა აზრი, რომ კოსოვის პრეზიდენტი მაინც ახდენს ზემოქმედებას ევროპულ დიპლომატიასზე.

პიტრი მამრამაძე: ესეც არაპროფესიონალიზმის შედეგია. უნდა გვესმოდა: თუ კოსოვოს პრეზიდენტი მართლაც „ახდენს ზემოქმედებას“, მაშინ პირიქითაც უნდა იყოს: კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარებული იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა ლტოლვილი გაეროს უკიდურ დაბრუნდა. თანაც დაბრუნდნენ უსაფრთხოდ და ცხოვრების ღირსეული წესის უზრუნველყოფით. გაიმართა შესაბამისი რეფერენდუმი და ყველაფერი ასე გადაწყდა. წარმოვიდგინოთ კოსოვოს მოდელის განხორციელება აფხაზეთში: თუ იქ დაბრუნდებიან ლტოლვილები და გაიმართება რეფერენდუმი, აფხაზეთი იმავე დღეს დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში. და ამის შესახებ, სხვათა შორის, ლაპარაკობდა თავად ლეფორი, როდესაც თბილისში საფრანგეთის ელჩი იყო. ასე რომ, კოსოვოს პრეცედენტს ურთიერთობა ჩვენს სიტუაციასთან არ აქვს. ამიტომ ლეფორი არასოდეს დაიწყებს საუბარს იმის შესახებ, რა შიშს მას ბრალს დადებენ.

ფრანგი დიპლომატის გამონათქვამებს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მიიჩნევს იმ პოლიტიკის უპერსპექტივობის დადასტურებად, რომელიც წარმოადგენს მცდელობას გადაიჭრას საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის აღდგენის პრობლემა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით. აი, როგორი კომენტარი გაუკეთა ამ დიპლომატიურ ინციდენტს პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ხელმძღვანელმა.

ზაზა მამრამაძე: საქმე ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება არანაირად არ მოხდება, თუ გაეგარქმელებთ იმ კურსს, რომლითაც ახლა მივდივართ. ესე იგი, თუ ჩვენ ძველებურად ვილაპარაკებთ, რომ შევადგინოთ ტერიტორიული და ადგილებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ამ ორგანიზაციების მუშაობით. ეს აბსოლუტურად უპერსპექტივო გზაა. ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავიფიქროვოთ, უნდა მოველაპარაკოთ რუსეთს, უნდა დაველოდოთ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ დარჩება შანსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არც სააკაშვილი, არც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის. იმიტომ, რომ, როგორც ბატონმა ლეფორმა თქვა, – ეს არის რეალობის აღიარება, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით.

სხვათა შორის, საინტერესო ფაქტი: ამ დღეებში, პირველად უახლოეს ისტორიაში, აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის პროვინციის ერთ-ერთმა მცხოვრებმა თავისი სახლის თავზე აღმართა რუსეთის დროშა, – ქვეყნის პროდასავლურ კურსთან უთანხმოების ნიშნად.

საფრანგეთის ყოფილი ელჩის გამონათქვამების შედეგად საქართველოში დიპლომატიური სკანდალი გარდა

შვიდობო მოლაპარაკების დანაშაულისთვის. მათ შორის, ევროკავშირის ყოფილი დიპლომატიის, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო დისკუსიებს რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის არაოფიციალურ წარმომადგენლებს შორის ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს შუამავლობით.

დიდად გამოცდილი ფრანგი დიპლომატი ფილიპ ლეფორი უკანასკნელ წლებში იყო ევროკავშირის წარმომადგენელი ამ მოლაპარაკებებზე. ბატონი ლეფორი კარგად იცნობდა კავკასიის პრობლემატიკას: ის მუშაობდა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტების საკითხებზე ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე – საფრანგეთის ელჩის რანგში თბილისში. იმ წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში ყოფნის დროს ფრანგი დიპლომატი გამოდიოდა მხოლოდ მშვიდობიანი გადაწყვეტის წინადადებებით ყველა კონფლიქტში დიპლომატიის დიალოგისა და ურთიერთ კომპრომისების გზით.

მიუხედავად ამისა, ფილიპ ლეფორის უკანასკნელმა გამონათქვამებმა ცხინვალში სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს თბილისში დიდი ემოციები გამოიწვია. სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის ოფიციალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობების თანახმად, ფილიპ ლეფორმა პრეზიდენტ თიბილოვთან შეხვედრის დროს განაცხადა ზუსტად ასეთი რამ: „სამხრეთი ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, განსაზღვრულია ხალხის მიერ. ამ პოზიციის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს არის რეალობა, რომელსაც უნდა შევგუო და რასთანაც უნდა იცხოვრო და იმუშაო“.

აღსანიშნავია, რომ ფილიპ ლეფორმა ეს ფრაზა გაახმოვანა თავისი გამოსათხოვარი ვიზიტის დროს – იგი ტოვებს უჩვეულის მოლაპარაკებაზე ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტს. მეორე დღეს ელჩი ლეფორი თბილისში ჩავიდა საქართველოს ხელმძღვანელობასთან გამოსათხოვარი შეხვედრებისთვის. მაგრამ მას მოუშადადეს ერთობ ცივი მიღება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა აშკარა გალიზიანებით უთხრა ჟურნალისტებს, რომ ბატონი ლეფორის განაცხადი მოუხსენია ზუსტი უარყოფა სამხრეთი ოსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობისა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გვაცნობრა, რომ ინსტრუქცია ჩაუტარა საქართველოს ელჩს ნოზესულში, რომ მას ეთხოვა განმარტება ევროკავშირის ხელმძღვანელობისგან, შეესაბამება თუ არა ფილიპ ლეფორის გამონათქვამები ევროკავშირის პოზიციას.

როგორც ირკვევა, ამის აუცილებლობა არ ყოფილა. როდესაც თბილისში ჩავიდა, ფილიპ ლეფორმა თავად ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ძველებურად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გამოდის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის მხოლოდ ამ საფუძველზე. ბატონი ლეფორის სიტყვებით, მას არ აქვს განზრახული, კომენტარი გაუკეთოს მასობრივი ინფორმაციის სა-

ამგვარ დაპირისპირებაზე ამ დღეებში ყურადღება ბევრმა ქართველმა მეთვალყურე მიაქცია. მათი აზრით, ელჩ ლეფორს არაფერი უთქვამს თავად თბილისის ხაზის საპირისპიროდ მოლაპარაკებათა წარმოების შესახებ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, როდესაც სამხრეთი ოსეთის ხელისუფლება თავის რესპუბლიკას მიიჩნევს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, შეგვახსენებს რეფერენდუმების შესახებ, რომლებიც გაიმართა გასული საუკუნის 1990-იანი წლების დასაწყისში. თბილისი ამ რეფერენდუმებს არალეგიტიმურებს უწოდებს, მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთი ოსეთის ქართული მოსახლეობა არ ლეზულობდა მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკება მთელი ამ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და გრძელდება კვლავ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი რეალობა ჩამოყალიბდა. არაფერი სხვა ფილიპ ლეფორს ცხინვალში არ უთქვამს.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ RFI-თან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გააბუჟეს სკანდალი და „ბუზი სპილოდ აქცია“.

სერგი კაპანაძე: მე ბუზისგან სპილოს არ შევქმნიდი. ევროკავშირის პოზიცია ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ცხადია. იგი უცვლელია და ამის შესახებ მილიონჯერ განაცხადებდა. სამხრეთი ოსეთის პრესის ცნობები კი ჩემთვის არ არის არსებითი. ფილიპ ლეფორს პირადად ძალიან დიდი ხანია ვიცნობ. ამიტომ სერიოზულად არ აღვიქვამ იმ ხმაურს, რომელიც წარმოიქმნა.

– მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა, რომ მთლად კმაყოფილი არ არის ლეფორის განმარტებებით.

სირბი კაპანაძე: მაინც, შეიძლება ვილაპარაკოთ რაღაც გამონათქვამებზე, რომ ისინი უნდა იყვნენ უფრო კონკრეტული, დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ევროკავშირის პოზიცია უცვლელია. ასე რომ, ცალკეული დიპლომატების გამონათქვამებს მნიშვნელობა არ აქვს. აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ აქ საქმე გვაქვს პრესის ინსინუაციასთან.

– ბატონ ლეფორს არ მოუხდენია თავისი სიტყვების დეზაფორმაცია. თქვენ როგორ ახსნიდით მის გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა – „რეალობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო“?

სირბი კაპანაძე: ბატონი ლეფორის გამონათქვამები ასე გავიგე: არის გარკვეული რეალობა და იგი უნდა გაითვალისწინო. ეს როდი ნიშნავს, რომ მას უნდა დაეთანხმო. რასაკვირველია, მას შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი უფრო მკაფიოდ, ყოფილიყო უფრო ზუსტი თავის განცხადებებში, მაგრამ ეს არჩევანი არაა. ის კი, რასაც სამხრეთი ოსეთის პრესა წერს, ჩემთვის მთავარი არ არის.

– თქვენი აზრით, როგორი ფუნდამენტური მიზნები განსაზღვრავს წინასწარ ევროპული გაერთიანების პოზიციის უცვლელობას ამ საკითხთან დაკავშირებით?

დედაქალაქის ზურგზე



ოსმინციში საბჭოთა ჯარების მიერ ხანაპის გათავისუფლების წლისთავზე მსოფლიო ხოლო-ქმის მსხვერპლთა მსახიობის

ხანაპი „აუშვიც-ბირენაუში“ ფაშისტებმა მილიონზე მეტი ებრაელი, აგრეთვე, პოლონეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები და საბჭოთა სამხედრო ტყვეები გაანადგურეს – მთლიანად დაახლოებით 1,5-2 მილიონი კაცი. საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში 200-ზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

ოლანდი „კალვარიატის“ შემდეგ დაშორდა თავის მიუღწეველს: საფრანგეთის მსახიობი ლედი ინდოეთში გაზარდდა



ფრანსუა ოლანდის განცხადების შემდეგ იმის შესახებ, რომ იგი გაშორდა თავის სამოქალაქო მეუღლეს, ვალერი ტრიერვეილერმა დატოვა პარიზი და გაემგზავრა ინდოეთში ჰუმანიტარულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც შიმშილთან ბრძოლას ეძღვნება. იქ ყოფნის გრაფიკში ჩართული იქნება საქველმოქმედო სადღესასწაულები, სადაც პირველი ექსლემი სიტყვით გამოვა.

შეიტანა უკრაინის ტაძრები სომხების სარაქმული მხარდახმარებით



ამერიკის სარდლობის სამიზნე იყო ტერორისტების ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც აქვს ურთიერთობანი „ალ-ქაიდასთან“ და „აშ-შაბაბის“ დაჯგუფებასთან, დაზუსტებს პენტაგონში. წყაროების მონაცემებით, დარტყმა უპილოტო თვითმფრინავმა მიიყენა. არის მონაცემები, რომ შედეგად ერთი ბოვეიკი დაიღუპა, რომელიც „აშ-შაბაბის“ ხელმძღვანელობასთან იყო ახლო ურთიერთობაში. იყო თუ არა იგი თავდაპირველი მიზანი, უცნობია.

პარიზში ანტისამთავრობო „რისხის დღე“ პოლიციისთან შეტაკებით დასრულდა

დაკავებულია 150-ზე მეტი კაცი. 19 პოლიციელმა ტრავმები მიიღო. მანიფესტაციის მარშრუტიდან გაიყვანეს „ფემინის“ აქტივისტები – აქციის მონაწილეთა შეურაცხყოფისთვის. მაგრამ დემონსტრანტების კოლონაში შენიშნეს დაახლოებით ორი ათეული „ფემინის“ შექმნილი რადიკალური მამაკაცური ორგანიზაციის „ომენის“ წარმომადგენლები.



მუშუს პარტაბაპას სახლიც დაუნ-ვეს და 4 ძროხა, 2 კამეჩი და 7 ღორიც მოუკლეს; გურამ ვართაგავს - 4 ძროხა, 2 კამეჩი, 2 ღორი და 5 ინდაური; მურ-მან სიჭინავას - 2 ძროხა, 1 კამეჩი და 2 ღორი; გოგი სიჭინავასა და გულივერ ჩარგაზიასთვის სახლები არ დაუნვავეთ, მაგრამ ჯერ ძირ-ძირობამდე გაფცქენეს და შემდეგ პირველს 3 ძროხა, 2 ხარი და 2 ღორი მოუკლეს, მეორეს კი - 4 კამეჩი და 2 ძროხა...

ცოდვის ტრიალი იყო! ამრიგად, 1993 წლის 6 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით, ცეცხლსასროლი იარაღითა და ჯავშანტექნიკით აღჭურვილმა მასშველთა კორპუსის ჯგუფებმა ადამიანთა სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით, მუქარით, ცეცხლის წაკიდებისა და სხვა ბარბაროსული მეთოდებით გაიტაცეს, დააზიანეს და გაანადგურეს ქ.ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სოფლების დარჩენილი, ანაკლიის, ახალკახათის მცხოვრებთა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 83 მოქალაქის 2 მილიონზე მეტი ლარის ღირებულების ქონება, გაიტაცეს 3 ათას ლარად ღირებული სახელმწიფო და 6 ათას ლარად ღირებული საზოგადოებრივი ფასეულობანი.

გამტაცებლებმა ნაძარცვი ნაწილ-ნაწილ გაიტანეს ზუგდიდის რაიონიდან. 1993 წლის 19 ნოემბერს, როცა რაიონის ტერიტორია დატოვეს და თან მიჰქონდათ ნაძარცვ-ნაყაჩაღარის ძირითადი ნაწილი, მათთან ერთად ჯაბა იოსელიანიც იმყოფებოდა.

ხოზის შესასვლელთან, სოფელ თეკლათის საგუშაგოზე მდგარმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა კოლონა შეაჩერეს და მანქანების ჩხრეკა დაიწყეს. ჯაბა იოსელიანმა, როგორც საქართველოს სახელმწიფო მეთაურთან არსებული საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ, მარჯვედ გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება: რუსი სამხედროები დაარწმუნა, რომ მასთან მყოფ პირებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული არაფერი გადაჰქონდათ და ხელი ააღებინა კოლონის გაჩხრეკვაზე.

ასე გააპარეს ზუგდიდელი მოქალაქეების ნაოფლარი. სამშვიდობოს დაგულებული ნაძარცვის ერთი ნაწილი გაიყვეს, მეორე ნაწილი კი ფულად აქციეს და ისიც გაინაწილეს.

აუცილებელი დაზუსტება: როცა ვასახლებით „მასშველთა კორპუსის ბანდიტურ ჯგუფს“ ან „ბანდას“, მხედველობაში გვაქვს არა მთლიანად მასშველთა კორპუსი ყველა წევრით, არამედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილი დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებშიც მხედრონელთა ერთი ნაწილი იყო გაერთიანებული. აბსოლუტურად ყველა მხედრონელი არ იყო ბოროტმოქმედი.

გვაგებენ ავსებენ

1993-1994 წლებში ბორჯომის „მხედრონის“ ბაზაზე მძლავრი შეიარაღებული ჯგუფი ჩამოყალიბდა.

მისი შექმნის სათავეებთან იდგნენ ადგილობრივი მკვიდრნი: შემდეგ საქართველოს მასშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიორგი (გიგა) გელაშვილი, რამაზ კურტანიძე და გიორგი იობაშვილი.

ჯგუფში გაერთიანდნენ კბილებამდე თოფ-იარაღსმული გიორგი იობაშვილი, ჯუმბერ საყვარელიძე, გოჩა გელაშვილი, თამაზ კურტანიძე, მიხეილ სამსონაშვილი, პაატა თედიაშვილი და სხვ. უმალ დაიწყო „ბრძოლა არსებობისთვის“, ანუ - გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის.

ეს არ იყო მთლად უმტკივნეულო საქმე. მთავარი მოქიშპენი ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო შენაერთის „თერთ არწივის“ ზოგადერთი ოფიცერი: ივერი მალრაძე, ედუარდ აკოფიანი და სხვები იყვნენ. დავა სწრაფად გადაიზარდა მტრობაში.

ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებოდა.

მოსახლენი უნდა მომხდარიყო. ჯუნგლის კანონი სასტიკი და შეუვალი. 1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ერთხმად გადაწყდა: ივერი მალრაძე უნდა მომკვდარიყო.

განზრახულის აღსრულება პირველად 11 ნოემბერს ცადავს: დაბა ნაღვერის ტერიტორიაზე ჩაუსაფრდნენ.

მაგრამ იმ დღეს, არავინ იცის, გულმა უგრძნო თუ სხვა რამ მიზეზით, მსხვერპლმა იქ არ ჩაიარა.

მეორე დღეს კვლავ ჩასხდნენ იმავე ადგილზე.

აი, გამოჩნდა კიდევ იმ მარკისა და იმ ფერის მანქანა, იმალრაძეს რომ ჰყავდა. მოახლოვდა თუ არა, ბევრი არ უფიქრიათ, ტყვი დააყარეს.

მაგრამ... მაგრამ მანქანა პოლიციელ დავით ბუხრიკიძისა იყო, რომელსაც შვილები - 6 წლის თამარი და 2 წლის გიორგი მიჰყავდა.

„მხედრონი“ - ბოროტების მხედრობა

გიორგი მძიმედ დაიჭრა, თამარი - მსუბუქად.

ისევეც მძიმე ცოდვა ბავშვების სისხლით კიდევ უფრო დაიმძიმეს.

როცა გადარეული მამა დაინახეს და შეცდომა შენიშნეს, თავდამსხმელებმა ტყვე მისცეს თავი.

შეცდომამ გაახელა მკვლელობის უინი. ოღონდ გვემა შევცავლეს, უფრო ნაღდი რამ მოიფიქრეს.

20 ნოემბერს ივერი მალრაძე და ედუარდ აკოფოვი კონცერნ „ბორჯომის ხეობის“ ოფისში მიიწვიეს „საქმის გასარჩევად“, ოღონდ ერთი გაუთვალისწინებელი რამ აქაც მოხდა: ისინი ვახტანგ ცუხიშვილის, ნინო კანტიძისა და ზაირა დარბიაშვილის თანხლებით მოვიდნენ.

ჩანს, ცუდს არაფერს ელოდნენ. ეს ართულებდა საქმეს, მაგრამ გვემა აღარ შეცვალეს.

ჯერ აქეთურ-იქითურზე ილაპარაკეს. ღიმილ-ღიმილში უცებ იარაღები გააშვილეს და სტუმრებს ტყვია დაანვიშეს.

ხუთივე მოკლეს. ახლა მოკლულთა თავიდან მოცილება იყო საჭირო.

კვალის დასაფარავად გვაგები გააშვილეს და, თამაზ კურტანიძის მითითებისამებრ „უაზით“ გადაიტანეს სოფლის დასაწყისში მდებარე „საქმუნტ-რანის“ № 10 ავტოსანარმოს ტერიტორიაზე. იქ ავტოგასამართი სადგურის სანკავის ავზებში ჩაუშვეს და ზემოდან მინა მიაცარეს.

სხვა კვალიც იყო და მისგანაც გაიცალეს ხელი:

ედუარდ აკოფოვის კუთვნილი ავტომანქანა „აუდი“, რომლითაც ის ხუთეული მოვიდა, სოფელ ოსიაურის სამრეწველო მალაზიასთან გადამალეს;

მოკლულთა ტანსაცმელი და პირადი ნივთები მეორე დღეს ტყეში სპეციალურად გათხრილ ორმოში ჩააფლეს;

„ბორჯომის ხეობის“ ოფისში სისხლი ანმინდეს, დატლილი მასრები აკრიფეს, კედელზე დარჩენილი ნატყვიარები ორჯერ გადაღებეს (მეორედ - 1995 აპრილში).

ასე მოიცილეს მოქიშპენი. ამ ჟღერის ერთ-ერთ მონაწილეს გიორგი იობაშვილს სხვა ცოდვაც ედო: 1994 წლის 20 სექტემბერს მან გიგა გელაშვილის ბრძანებით ბორჯომ-ბაკურ-რიანის საავტომობილო გზის მე-7 კილომეტრზე, ტყეში ჩაფლა ჯიმი მერაბიშვილის გვამი.

ჯ.მერაბიშვილი გიგა გელაშვილმა წინა დღეს თბილისში, პირდაპირ ქუჩიდან გაიტაცა უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას“ წევრების დახმარებით და მოკლა, გვამი კი გასაუჩინარებლად ჩაიტანა ბორჯომში.

გიობაშვილი მოუცილებლად ატარებდა ხელყუმბარას და ცეცხლსასროლი იარაღს, რომელიც ოფისში მოწყობილი მკვლელობის შემდეგ დაშალა და ნაწილ-ნაწილ გადაყარა.

„მხედრონის“ ბაზაზე შექმნილ ამ შეიარაღებული რაზმის ერთ-ერთი წევრი თამაზ კურტანიძე წლების მანძილზე მუშაობდა ბორჯომის № 2 საიჯარო ჩამოსხმელი ქარხნის დირექტორად, იყო სააქციო საზოგადოება „თორის“ დირექტორი და კონცერნ „ბორჯომის ხეობის“ პრეზიდენტი.

რაკილა მხარში „მხედრონი“ ედგა, რომელმაც რაიონში დაუსჯელობისა და ხელ შეუხებლობის დანაშაულებრივი ვითარება დაამყვიდრა, თ.კურტანიძე, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად განაგებდა მინერალური წყლის წარმოებასა და რეალიზაციას, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას და როგორც გამოძიება ამტკიცებდა, დაუზოგავად იტაცებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას.

ბორჯომის № 2 საიჯარო ჩამოსხმელი ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მისი მუშაობის პერიოდში იქ დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „თორი“. ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი თვითონ გახლდათ.

1992 წლის მაისის № 92 ბრძანებით № 2 ქარხნის ბალანსზე არსებული 12,4 მილიონ მანეთად ღირებული ძირითადი საშუალებები სააქციო საზოგადოება „თორს“ გადაეცა.

1993 წლის პირველ კვარტალში ეს ძირითადი საშუალებები ბალანსზე ისე აიღეს, ჩირად არ ჩაუგდიათ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 1992 წლის 30 სექტემბრის ინსტრუქციის მოთხოვნა:

თამაზ კურტანიძემ არ მოახდინა აფასება, რითაც ფაქტობრივად, ძირითადი საშუალებების ღირებულება 35,9 მილიონი მანეთით შემცირდა.

იმ დროისთვის ეს 866 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

ამრიგად, გავლენათა სფეროები გადანაწილდა.

დანაშაულებრივი ჯგუფი ბორჯომის რაიონს დაეპატრონა.

მაგრამ არ შეიძლებოდა ეს განუკითხაობა დიდხანს გაგრძელებულიყო, ბოროტებას დიდხანს ეზეიმა.

ბედი მდევარი კვალში იყო ჩამდგარი...

ქრახანების გუფი

მავშილთა კორპუსის („მხედრონის“) ბიოგრაფიის მეორე - „მონიფულოზის“ ეტაპი - 1993 წლიდან იწყება-მეთქი, ვახსენებ.

პირველი - „ბავშვობის“ ეტაპისგან განსხვავებით, როცა უმეტესად მაინც სამხედრო ნაწილებს, გასამხედროებულ დაწესებულებებსა თუ შინაგან საქმეთა განყოფილებებს ესხმოდნენ, იარაღსა და სატრანსპორტო საშუალებებს სტაცებდნენ და ამას, პატრიოტული მოსაზრებით ამართლებდნენ, საქართველოს და-

მოუკიდებლობისთვის საბრძოლველად გეჭირდებო, მეორე - „მონიფულოზის“ ეტაპი მთლიანად განუკითხავი ძარცვა-გლეჯის ხანად იქცა.

საქართველო უკვე ქმნიდა საკუთარ არმიას, თოფ-იარაღიანი მასშველთა კორპუსი მას სულ არ სჭირდებოდა. ამდენად, გამართლება, რასაც კეთილშობილი საფანელი ედო, აღარ არსებობდა, ჰოდა, თავდასხმების მისამართი შეიცვალა - უფრო სახელმწიფო ქონებისა და მოქალაქეთა ძარცვა მოხშირდა.

ზუგდიდისა და ბორჯომის ეპიზოდებში ამ ეტაპის რიგითი მონაწევრები.

ასეთივე რიგითი მონაწევრთა კახეთის 1994-1995 წლების ეპოპეა - ხანგრძლივი, პირქუში, საშიში.

საქართველო მასშველთა კორპუსის 1993 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით, კახეთის მასშველთა რაზმის უფროსად გიორგი შიოშვილი დაინიშნა.

1994 წლის 10 მარტიდან საგარეჯოს მასშველთა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა დავით ოთიაშვილი, მეტსახელად „მაჭახელა“, ხოლო თელავის ჯგუფს - მალხაზ ქარსელაძე, იმავე წლის 6 ოქტომბერს მ.ქარსელაძე, გ.შიოშვილის მოადგილედ გადაიყვანეს, მისი ადგილი კი ოლეგ ქუჯაიძემ დაიკავა.

უკვე ვთქვით, რომ კრიტიკიუმი, რაც აფერხებდა მასშველთა კორპუსში („მხედრონი“) წევრად მიღებას, არ არსებობდა, ამიტომ იყო, რომ თელავის რაიონულ ჯგუფში მრავლად მოხდნენ სხვადასხვა დანაშაულისთვის ადრე ნა-სამართლველი ჯეგელები.

თუ სიმართლეს ვიტყვი, მათ თავი შეაფარეს „მხედრონის“ და ამ საიმედო საფარით განაგრძეს ავი საქმე.

გიორგი შიოშვილი, დავით ოთიაშვილი, მალხაზ ქარსელაძე და ოლეგ ქუჯაიძე მეგობრები იყვნენ. სახელმწიფო სტრუქტურაში თანამდებობათა მიღება ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განამტკიცა, რაც მთავარია, საქმიან ლიანდაგზე გადაიყვანა.

ეს „საქმიანი ლიანდაგი“ ავბედითი გეზით წარიმართა.

იურისტთა ერთ ეს ასე ითქმის: „გადანწყვიტეს ესარგებლათ იმით, რომ მასშველთა ჯგუფები აღჭურვილი იყო დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალებით. 1994 წლის ივლისში მოილაპარაკეს და თელავის მასშველთა ჯგუფის ბაზაზე, სახელმწიფო და სხვა სახის სანარმო-დანსებულებებზე, ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი, დანაშაულებრივი საქმიანობა მისი ორგანიზატორებისა და წევრთა შემოსავლის წყაროდ იქცა“.

ამ ჯგუფში სხვადასხვა დროს გაერთიანდნენ მხედრონელები კობა და გიორგი სარაჯიშვილები, ზალიკო ქარსელაძე, გელა ნონიკაშვილი, ილია ბურნაძე, ალექსი და დავით ქვეხიშვილები, ვანია ბატიშვილი, აკაკი შაპოშვილი, ჯემალ შიუკაშვილი, გივი მალასიძე, გელა ვარსემაშვილი, თემო ვახტანგიშვილი, ვაჟა დედაბრიშვილი, იოსებ მარინაშვილი, გიორგი მეკოკიშვილი, ავთანდილ ქვეხიშვილი...

მათი თარეში 1994 წლის აგვისტოდან 1995 წლის 5 მაისამდე უმრავლესობის დაპატიმრებამდე გაგრძელდა.

მთელი ამ ხანგრძლივი და მძიმე 9 თვის მანძილზე მათ დაადამბლავეს ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა, დაბეჩავეს მოსახლეობა, სანარმო-დანსებულებათა ხელმძღვანელები და თითქმის ლეგალურად, ოფიციალურად დააკანონეს რეკეტი.

კახეთში შიშმა და უსასოობამ დაისადგურა.

შეუნიღბავად, მოურიდებლად ნადირობდნენ. მათი შტაბბინა თელავში ნამდვილი კრახანების ბუდე იყო.

და შხამიანი ნესტრით ინესტრებოდა ყოველი და ყველაფერი.

დღე არ გავიდოდა, ვინმე არ გაეძარცვათ, მანქანა არ წაერთმიათ, ფულის გამოსაძალველად არ მოეცადათ, რამე არ შეეწერათ, არ ეცემ-ენამებინათ, საკუთარ ნაოხანტში არ ჩაემწყვიდათ და დაეშინებინათ, არ ეიძულებინათ განცხადება დაენერა თანამდებობიდან გადადგომის თხოვნით, რათა იმ თანამდებობაზე თავიანთი კაცი დაესვათ...

ალექსი ასლანიშვილი. (გაზრდილობა იმდენა)

საფონის სტარტაჟი

კალათბურთის ზეიმი რუსთაველი



„მეილა მარსკვლაშის“ მატჩ-აქცია, რომელიც ოფიციალურად 2003 წლიდან ტარდება, ამჟამად, პირველად არსებობის ისტორიაში, რუსთაველა უმასპინძლა.

კომპლექტებული იყო საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საუკეთესო კალათბურთელებით. მეტოქეებს სუპერლიგის პირველ ადგილზე მყოფი „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ირაკლი ხოშტარია და მეორე ადგილზე მყოფი „არმიის“ მთავარი მწვრთნელი კოტე ტულუშვილი ხელმძღვანელობდნენ.

მესამე მეოთხედამდე შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დასკვნით პერიოდში უპირატესობას ხოშტარიას გუნდი დაუფლავდა, რომლის შემადგენლობაშიც განსაკუთრებით ჯერემი საიმონსი („სოხუმი“) და სტეფან მილოშევიჩი („დინამო“) აქტიურობდნენ. მათი დამსახურებაა, რომ საბოლოოდ ხოშტარიას გუნდმა 139:118 შეძლო მეტოქის დამარცხება.

სპეციალურმა ჟიურმა MVP-დ მილოშევიჩი დაასახელა, რომელმაც 29 ქულითა და 17 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. ყველაზე მეტი, 34 ქულა კი საიმონ-

სმა დააგროვა. ლონისძიების მსვლელობის დროს ჩატარდა აგრეთვე კონკურსები ჩატენვესა და სამჭულთანების სროლაში.

შეგახსენებთ, რომ სამჭულთანების სროლაში შარშანდელი ჩემპიონი ბარბაქაძე იყო. ფინალში გამოსვლის უფლება ამჯერადაც ბარბაქაძემ (13 ქულა) და შეანგირაძემ (12 ქულა) მოიპოვეს. გადამწყვეტ დაპირისპირებაში უფრო მეტმაც 14 ქულა დააგროვა და პრიზის მფლობელი გახდა. ბარბაქაძე გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა. უფრო დაძაბული გაემოქმად ჩატენვესის კონკურსი, სადაც აკაკი დვალისვილი („ქუთაისი-2010“), საიმონსი და შეანგირაძე მონაწილეობდნენ. ფინალში გამოსვლის უფლება საიმონსმა და დვალისვილმა მოიპოვეს. პირველმა მცდელობამ გამარჯვებული ვერ გამოაგვიანა, დამატებით ვერ გამოაგვიანა, დამატებით კარგი შედეგი საიმონსმა აჩვენა და გამარჯვებულიც ის დარჩა.

MVP და სხვადასხვა ლონისძიებებში გამარჯვებულები კალათბურთის ფედერაციამ სპეციალური პრიზებით, ხოლო ტიტულიზატორმა „Europa Bet“-მა ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

ვიტალი ჯაფარიძე



ანყო (0:8) და მესხთე ადგილზე გავიდა. საპრიზო სამეულს საქართველოს ნაკრების ვერც სხვა წევრები მიუახლოვდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ბეგი დარჩიას შეგირდებმა 29 ქულით 10 ნაკრებს შორის მე-5 ადგილი დაიკავეს. პირველობა, ცხადია, არავის დაუთმეს მასპინძლებმა.

ვივი ბაგუა

ჭიდაობა

11 ფალავნის პრტი პერსხლი

თეირანში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი იმამ აბდუგარის თასზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 11 ფალავანი გამოდიოდა, მხოლოდ ერთ ვერცხლს გამოჩინა. ბეგი დარჩიას გუნდს ეს ჯილდო 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მარად აბულაძემ მოუტანა. ქართველმა სპორტსმენმა ფინალის გზაზე ზედიზედ დაამარცხა ერაყელი მუჰამედი ქარიმ მუჰამედი (8:0), ჩრდილოკორეელი ვონრი ჰაკი (2:1 6:3) და იაპონელი ჰიდეჟიკი ოტოიზუმი (8:0). ჩვენებურმა გადამწყვეტი პაექრობა აზერბაიჯანელ აზად ალიევთან წააგო (0:7 0:4) და მეორე ადგილს დასჯერდა. ამავე წონაში ალიევმა პირველსავე წრეში ჩამოიშორა გზიდან საქართველოს ნაკრების წევრი გიორგი დავითაია (0:0 6:0). 98 კილოში ირაკული ქავჯაია სტარტზევე ირანელ ალი ალიარიფიზაბადს დანებდა (1:3 0:1). დამამწყვდებელში სომეხ მოეხს ადამიანს კი აჯობა (1:0 3:0), მაგრამ შემდეგ ირანელ დავოდ აბედინზადეჩორისთან ვერაფერი გა-

ქიულო



ევროპა აზიას ტიუმენში გაუსწორდა

ის მხოლოდ სა-ნახაობა იყო, მაგრამ მას ევროპასა და აზიას შორის უძლიერესი უნდა გამოეფლანა.

როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ლიპარტელიანი საბრეტოკრეელი კიუ-ფონ ლის ვაზარით აჯობა, ხოლო ქრიკიშვილმა უზბეკ იახიო იმამოვთან იუკოთი წააგო. დანარჩენ წონებში რუსმა ალესია კუზნეცოვამ (48 კგ) მონგოლი ურანცეცე მუნხბატი დაამარცხა, იაპონელმა ნაოჰიმა ტაკატომ (60 კგ) - რუსი არსენ გალსტიანი, რუმინელმა ანდრეა ჩიტუმ (52 კგ) - იაპონელი იუკი ჰაშიმოტო, უკრაინის სახელით მოჭიდავე გიორგი ზანთარაიამ (66 კგ) - ყაზახი აზამატ მუსხანოვი, პორტუგალიელმა ტელმა მონტე-ირომ (57 კგ) - მონგოლი სუმია დორიასურენი, ჰოლანდიელმა დექს ელმონტმა (73 კგ) - მონგო-

ლი ცაგანბატარ ჰაშბატარი, იაპონელმა კანა აბემ (63 კგ) - ჰოლანდიელი ანიჩქა ვან ემდენი. გერმანელმა ლაურა ვარგას-კონმა (70 კგ) კორეელ სეონგ-იონ კიმს სძლია, სამხრეთკორეელმა გიონგ-მი იეონმა (78 კგ) - უნგრელ აბიგელ იოს, ჰოლანდიელმა ჰენკ ხროლმა (100 კგ) - უზბეკ სოიუბ ყურბანოვს, სლოვენელმა ლუსია პოლავედრამა (78 კგ) - სამხრეთკორეელ იუნგ-უენგ ლის, ხოლო რუსმა ალექსანდრ მიხაილინმა ((100 კგ) ყირგიზ იური კრანკოვს (100 კგ) აჯობა. საბოლოოდ, 14-იდან 10 ორთაბრძოლა ვეროქლებმა, 4 შეხვედრა კი აზიელებმა მოიგეს.

ლაზა დიდი

ხელბურთი

საფრანგეთი ევროპის ჩემპიონია

ფრანგეთი ბოლო ოცნლეულს აშკარად საუკეთესო გუნდია. ფრანგებმა პირველი ტიტული 1995 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს, შემდეგ კიდევ სამჯერ (2011, 2009, 2011) გაჩემპიონდნენ, ორჯერ იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები (2008,

2012) და მესამედ მოიპოვეს ევროპაში საუკეთესოს ტიტული (2006, 2010, 2014).

დანიამ, ვისაც ზედიზედ 7 მატ-



ჩი ჰქონდა მოგებული, მეტოქეს ოდნავი წინააღმდეგობაც ვერ გაუწვია. მე-8 წუთზე ანგარიში 2:7 იყო, 22 წუთზე - 7:17. ტაიმის ბოლო წუთზე მიქელ ჰანსენმა თითქოს შეამცირა სხვაობა - 16:22, მაგრამ ფრანგებმა მყისვე ულა-მაზესი კონტრშეტევა გაითამაშეს - მიქელ გიგუმ მაღალი პასი აუგდო ვალენტენ პორტს, მან ბურთი ცალი ხელით დაიჭირა და გაიტანა. კატათაგობანა გაიტყდა მეორე ტაიმშიც და საბოლოოდ შეხვედრა 4:1:32 დასრულდა. ფრანგებს დარტყმების ეფექტურობა 73% ჰქონდათ.

ბრინჯაო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ესპანეთს ხვდა, რომელმაც ხორვატეთს სძლია - 29:28.

მანუარ ბიორაპა

პროექტი

პრილში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტი

80845981 წლის აპრილში საქართველოს მსოფლიოს მემკვიდრეობის საუკეთესო მემკვიდრეობად აღიარებული პეიზაჟი, - ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოში „არგენტინის სახლის“ ხელმძღვანელმა ნიკო პატარქალიაშვილმა განაცხადა.



მისი თქმით, პეიზაჟი საქართველოს აპრილში დაგეგმილი საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში ეწვევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებები.

„ყველა საკითხი შეთანხმებულია, დარჩენილია მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები. სამხრეთამერიკული ქვეყნების მხრიდან იყო შემოთავაზება, რომ ტურნირი აპრილის დასაწყისში ჩატარდეს, და საგარეუდოდ ამ პერიოდში გაიმართება. გარდა ამისა, მსგავსი ტურნირი და პეიზაჟი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საქართველოსა და სამხრეთამერიკული ქვეყნების ურთიერთობას“, - აღნიშნა პატარქალიაშვილმა.

„არგენტინის სახლის“ თავმჯდომარე პეიზაჟის მასპინძლობასა და ტურნირის ჩატარებაში დახმარებას საქართველოს მთავრობას, საორგანიზაციო ჯგუფის

ხელმძღვანელობას კი ვიცე-პრემიერს, ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს სთავაზობს.

მისივე თქმით, ტურნირის გახსნაში მონაწილეობისთვის ის ასევე იწვევს ბერა ივანიშვილს, ქართულ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, ბრაზილიელ სამბას მოცეკვავეებსა და ტანგოს ცეკვის ჯგუფებს არგენტინიდან.

ტურნირის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია სკულპტურის წარდგენა, რომელზეც გადმოტანილი იქნება საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის მოსკოვში გამართული მატჩის შემდეგ გადაღებული ცნობილი ფოტო, რომელზეც ანზორ კავაზაშვილი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და პეიზაჟი არიან ალბეტილი.

გაუხან დოლიძე

ჩოგბურთი

ანამ და ნიკა იუორაღას

დეიტონა ბირის (აშშ) ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) თბილისელმა ანა ტატიშვილმა ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი დია ევტიმოვა (5:0-ს რომ იგებდა ჩვენებური, ბულგარელმა ტრავმის გამო პაექრობა ვერ განაგრძო), ასია მუჰამადი (აშშ, 6:0, 6:4), ტეილორ თაუნსენდი (აშშ, 7:5, 6:1), ლაურა ზიგმუნდი (გერმანია, 2:6, 6:3, 6:2) და ფინალში მე-4 ნომრად განთ-

ბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა. ერთეულთა თანრიგში მან იოლად ჩამოიშორა გზიდან კარენ ხაჩანოვი (რუსეთი) - 6:1, 6:4 და ტურნირის რეიტინგელორები ნილს დესეინი (ბელგია) 6:4, 6:3, მეორე ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშებით - 7:6, 6:3 მოუგო ჩეს მარეკ მიხალიკასა და ბულგარელ დიმიტარ კუტკოვსკის. ფინალის პირველი სეტი მე-2 ნომრად განთესილ მილოსლავ მეჩირთან



სილ 18 წლის ამერიკელ ალი კიიკს შეხვდა. ტატიშვილმა ეს ორთაბრძოლაც მოიგო 6:3, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავა.

„უფრო დიდ წარმატებას მიაღწია გერმანიაში ნიკოლოზ ბასილაშვილმა - იგი 15.000-იანი საერთაშორისო ტურნირის კვარცხლ-კარენ ხაჩანოვი და დენის მაცუკევიჩი (ორივე-რუსეთი) დაჯაბნა - 6:4, 6:4. ფინალში კი ლაიმიჩი იგნატიკისა (ბელარუსი) და დიმიტარ კუტკოვსკის (ბულგარეთი) აჯობა - 4:6, 6:4, 10:6 და აქაც პირველი იყო.

ლაესო ცინცაძე

ჩემპიონთა მესამე ადგილი

პსისტრალიის ღია პირველობაში ჩოგბურთო რეიტინგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა ტურნირების ჩემპიონები სტანისლას ვაგონიკა და ნა ლი მესამე საფეხურებამდე აღზევდნენ. ამასთან, თუკი შევიცარიელმა ტრავმირებული რაფა ნადალის ძღვეით მერვე ადგილიდან პირდაპირ სამეულში „სიკუპა“, ჩინელი მესამე ადგილს გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

მეღბურნში ნარმატებული გამოსვლის შედეგად რეიტინგის მონივარე და მუდმივად დაშორდნენ ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი, ქალთა შეჯიბრების ფინალისტი დომინიკა ციბულკოვა და კანადელი ნახევარფინალისტი ეჟენი ბუშარი. რეგრესს რაც შეეხება, 2-2 საფეხურით დაქვეითდნენ დავიდ

Emirates ATP Rankings 1 (1) რაფა ნადალი (ესპანეთი) 14330, 2 (2) ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 10620, 3 (8) სტანისლას ვაგონიკა (სვეიცარია) 5710, 4 (5) სუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 5370, 5 (3) დავიდ ფერერი (ესპანეთი) 5280.

WTA Tour Singles Rankings 1 (1) სერენა უილიამსი (აშშ) 13000, 2 (2) ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6581, 3 (4) ნა ლი (ჩინეთი) 6570, 4 (5) აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 5750, 5 (3) მარია შარაპოვა (რუსეთი) 5891.

გიორგი შოთაძე

თბილისის მერიის სახურავდაზოგად

ან რამაზ ჩხიკვაძეს უკით პატივი, ან ზურაბ ზერემელს, ან ვასტანგ ღვინტიას, ან მნახველს...

რუსთაველაზე, 9 აპრილის ბაღში ორი თვის წინათ გაიხსნა რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი (ავტორები: მოქანდაკე ზურაბ ზერემელი, არქიტექტორი ვასტანგ ღვინტია). ცნადა, გამოვეხმაურეთ ამ სასიამოვნო ფაქტს მებრძოლ, რომ ორიგინალურად გადაუწყვეტია ზურაბ ზერემელის დიდი მსახიობის სახე და აღნაგობა — რამაზ ჩხიკვაძე აზრადის როლში. მაგრამ, სამწუხაროდ, ქანდაკება უხერხულად ნაგებ პოსტამენტზე დგას, რაც უმაღლესად თვალში ძეგლის მნახველს. არქიტექტორი ვასტანგ ღვინტია, ცნადა, აღაშფოთა ამან და მიმართა კიდევ მერიის შესაბამის სამსახურებს. ჩვენც დავწერეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომ მერიას სასწრაფოდ გამოეწვიებინა ნაჩქარევად შესრულებული სამუშაო, მაგრამ, არავითარი რეაგირება. ბატონი ვასტანგ კი, რა გასაკ-

ვირია, ნუხს, აი, რამდენიმე დღის წინათაც შემხვდა და საუბარში რამაზ ჩხიკვაძის ძეგლიც გაიხსენეთ. — გაუგებარია მერიის დამოკიდებულება ამ ძეგლისადმი, — ვერ იყო და, შექმნეს ექსტრემალური სიტუაცია, „იერიშობანა“, მხოლოდ გახსნამდე სამი დღით ადრე გამოჩნდნენ ქვის ოსტატები ადგილზე, დაიწყეს ერთმა ჯგუფმა, დაამთავრა სხვამ, დღე და ღამე ასწორებდნენ. ქვის სამუშაოები სათუთია, ის ვერ იტანს იერიშობანას, ამიტომაც რაც მოესწრო, ისიც ძალიან დაბალი ხარისხისაა. რაც შეეხება ქვის „ჯიშს“, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ფერის ქანდაკებასთან დისონანსის გამო. მერიამ იცოდა, რომ ამ მხრივ ჩემი პოზიცია ურყევი იყო, მაგრამ ფაქტის წინაშე დამაყენეს, კურსებში ჩას-

ვლაც კი არ ინებეს, სადაც იმ დროს ამ ზომის ქვა უკვე მოძიებული იყო. ბოლო ათი დღის მანძილზე მერიის შესაბამისი პირები კონტაქტზე არ გამოდიოდნენ. დამთავრდა ზარ-ზეიმი, რეალობა კი დარჩა. ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა უკიდურესად სავალალოა. ის შეურაცხყოფს რამაზ ჩხიკვაძის ხსოვნას და ავტორების ღირსებას. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი, რომელიც ზუსტად ასახავს დამოკიდებულებას: ქვა, რომელსაც აწერია „აქ დაიდგება რამაზ ჩხიკვაძის ძეგლი“, დღესაც იქ დგას. ხედავთ, თბილისის მერიის მესვეურნი?! როდემდე, ბატონებო?! ღვთის ნებით, მალე გაზაფხულდება, ბაღში ხალხი მოიმატებს და რა შთაბეჭდილება უნდა შექმნას მნახველს რამაზ ჩხიკვაძის ძეგლის დადგმის ხარისხზე? თა-



ნაც, რამდენადაც ვიცით, საქმის კურსში ყოფილა მერიის კეთილმოწყობის სამსახური და მერიის ადმინისტრაცია... მაშ, რაღას ველოდებით?! — ან რამაზ ჩხიკვაძეს ეცით პატივი, ან ზურაბ ზერემელს, ან ვასტანგ ღვინტიას, ან მნახველს!

ვილენ მარდალაიშვილი

დედაქალაქი

მწვანე ნარგავებისგან ბოლო წლებში გაძარცვული თბილისის მოსახლეობა ვაკის პარკში ამჟამად მიმდინარე სასტუმროს მშენებლობაში იმ ზღვრამდე მიიყვანა, რომ ხალხმა საშეკადაქო მოძრაობა „დადავარჩინოთ ვაკის პარკი“ შექმნა. დღესდღეობით დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვაკის პარკი, რომელსაც თან კულტურის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, თვალსა და ხელს შუა ღამის ცენტრალური შესასვლელის, შადრევნისა და კუს ტბის ფერდობიდან ჩამომდინარე ჩანჩქერის ზომამდე შემცირდა. არადა, პარკის ასე „დაცოტავების“ უკლებლივ ყველა ფაქტი, რომელთაც ამ სტრატეგიით ავტორმა ბოლო თვეებში არაერთი პუბლიკაცია მივუძღვიე, უშუალოდ თბილისის მერს გიგი უგულავას უკავშირდება. ასეა ამჟერზეც, როცა საზოგადოებრივი პროტესტის ტალღა ვაკის პარკის ტერიტორიაზე უწინდელი რესტორნის „ბუდაპეშტის“ ნანგრევებზე სასტუმროს უკანონო მშენებლობას ახლა უკვე მისი ქვისლის სახელს უკავშირებენ.

რიქის „ტრობონი“, პარლამენტი — „სათბურში“ და სხვა რამე-რუხეები...



ანუ არიან კი თბილისელები გიგი მერიის ღირსნი?!

ვად ორჯერ მეტი მაინც დახარჯა. თუმცა, სიტყვა „არამიზონორივი“ ამ შემთხვევაში საქმის არსს სრული სიზუსტით ვერ გამოხატავს, რადგან ქალაქის თავკაცის მიზანი სავსებით „ნათელი“ და „ამაღლებული“ იყო: საკუთარი პარტიის, ანუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება და მისი რიგების კონსოლიდაცია. განა რაა ამაში გამოსაძი-

ბელი? თორემ ამ ლოგიკას თუ მივყვებით, გიგის ისიც შეიძლება დასწამონ, რომ ქურდული „სლონიკები“ სრულიად კანონიერი სხდომებით შეცვალა, „ობჟჟაგი“ — ქალაქის ბიუჯეტით, ხოლო რევეტი — ნებაყოფლობითი „აქტუალებით“. ისე კიდევ ბევრ რამეს აბრალებენ ქალაქის მერს: ეს ვაკის პარკის ტერიტორია ხელყო, ჩოგბურთის კორტების ადგილას „იურიდიული სოკო“ წამოჭიპო, ისტორიული რიყე „მომხდურ“ არქიტექტორ ფუქსას „გააფუქსავტებინაო“ და ა.შ...

ისე კი, აბა, დავფიქრდეთ, ბატონებო, როგორ შეიძლება კაცს ხე-ბუჩქები უყვარდეს, კორტებზე უწვიმოდ მუტანტი „სოკო“ არ მოწონდეს, ან კიდევ ტურისმის განვითარება გულით უნდოდეს და მშვენიერ პარკში სასტუმროს მშენებლობას შეენიანაღმდეგოს რაღაც ნარგავების გამო? ბატონ ბოძინა ივანიშვილსაც ხომ გამოუყო თბილისის მერიამ ვაკის პარკში ნაკვეთი კავკასიის ფრანგული სკოლის ასაშენებლად, რატომ მაშინ არ ატყდა ხმაური საზოგადოებაში? საერთოდ, ვაკის პარკის ტერიტორია არაა 226 ჰექტარია, როგორც თავიდანვე განისაზღვრა, არამედ მხოლოდ შადრევნის მიმდებარე ბილიკები, დანარჩენი კი ნაირ-ნაირი დანიშნულების კერძო სამშენებლო მოედნებია.

ისედაც მოტივებულ რიყეზე დარჩენილი ხეების ნაცვლად ჩვენ სასიქადულო მერიას ის ბრჭყვიალა „ტრობონი“ რომ არ გაემართა, როგორ გავიგებდით თბილისელები, თუ რა არის პაიტეკი? ახლა თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით რა ამბავი ატეხეს ქალაქის მერმა და მისმა „ორკესტრმა“! თქმა არ უნდა, სატვირთო მატარებლებმა დედაქალაქის შუაგულში რომ არ იგრუხუნონ, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ყველაფერს ტვინი ხომ უნდა მიაყოლოს ამხელა თანამდებობის პატრონმა, ხალხის ნდობით იქნება ის აღზევებული თუ პარტიული მექანიზმებით „შემოსკუპებული“ მაღალ სავარძელში? მაგრამ, როგორც ჩანს, გვანდობილი სამშენებლო ავანტიურები რომ არ წამოეწყო, ისეც სამომ-სანათესაოს კუთვნილი „ნაბრტეხული“ ფირმების მეპატრონეები განაწყენდებოდნენ. ამ ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ ქუთაისში პარლამენტის „სათბურის“ არ აშენდებოდა, ამოდენა ფული კი გაჭირვებულ და, მით უმეტეს, უბედურ ხალხზე ზრუნვაში ისევე ქვიშაში წყალივით გაქრებოდა.

არა, აშკარაა, რომ თბილისელები, მცირედი გამოწვევის გარდა, აშკარად ჯეროვნად ვერ აფასებენ თავიანთი მერის ამბავს. იმასაც კი აბრალებენ, საბურთალოს, ვაკის, ვერის ზოგიერთი უბანი ღამის გეტოებს დაამსგავსაო, რომლებიც ისეა გადაჭედოლი სახლებით, რომელთა ოთახებში მზის სხივი საერთოდ ვერ აღწევს, ერთადერთი არქიტექტურულ-სამშენებლო ღირებულება საცხოვრებელი კვადრატული მეტრებია. სამაგიეროდ, ქუჩის გადაღმა მეზობლების ბინებიდან თავი უფლად შესაძლებელია ოჯახსური კამათის წვრილმანთა გაგება, ან რომელიმე ტელეშოუს მომენა. მაგრამ, აბა, რა მერიისა და მისი თავკაცის ბრაღია, თუკი ხალხი ახალი ბინების შექმნის დაუოკებელი სურვილითაა შეპყრობილი, დედაქალაქის ცენტრში კი საამისოდ, მიმზიდველი ადგილები, ფაქტობრივად, აღარაა დარჩენილი?

არა, არ არიან თბილისელები ასეთი მერის ღირსნი! ჰოდა, აიღონ და გააუქმონ შპს „გიგი და კომპანია“ თავის მშენებლობების ნებართვების გამცემი სამსახურითურთ, რომელიც ასე ეფექტიანად ითვისებდა (და ახლაც იგივე საქმიანობას ეწევა!) სარფიანი მშენებლობისთვის პარკებს, ბაღებს და შიდა ეზოებს. დააღაპონ ყველაფერი თავიანთ ჭკუაზე და ვნახოთ მერე, რა შედეგს მიიღებენ!

ოთარ ტურაბაიძე



ბონდო ჯიქია ოჯახით იუნველა უახლოესი წათესავისა და მეგობრის შორში ჯიქიას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ალიან-ჩალიანი ნაკალაღვის გაგებოვას ადანაშაულებან. მწ ზღვის უბნის დასახლებაში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა პირებმა სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია გამართეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ნაძალადევის გამგეობა მათი საცხოვრებელი სახლების პრივატიზაციას ასორცილებს, რის გამოც გამოცხადდა ემუქრებათ. — საუბარია 4 კორპუსსა და დაახლოებით 110-მდე ოჯახზე. ჩვენ ამ ბინებში უკვე 10 წელია, ვცხოვრობთ. ჩავიბარეთ ცარიელი კარკასი და გაგარემონტეთ, შევიყვანეთ გაზი, წყალი, ელექტროენერჯია, რისი უფლებაც ეკონომიკის სამინისტრომ მოგვცა, ახლა კი ჩვენს ბინებს ვიდიან და ახალ მონაწილეებთან სელექტულებს აფორმებენ ისე, რომ მათში ვცხოვრობთ, — განუცხადეს აქციის მონაწილეებმა. მომიტინგეების შეფასებით, გლდანი-ნაძალადევის გამგეობა უკანონო პრინციპს ასორციელებს, რაც სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას.

მეგის ქარდავას 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. კმბანში მყოფ მეგის ქარდავას, რომელიც სერგო თეთრაძის წამების ეპიზოდში გამართლდა, საქმის კიდევ ერთ ეპიზოდზე 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სერგო თეთრაძის საქმეში რამდენიმე ეპიზოდია, მათ შორის თეთრაძის წამების, ასევე ჩიკვატიასა და ლონდარძის წამების ეპიზოდები. საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, სწორედ ჩიკვატიასა და ლონდარძის ეპიზოდებზე გამტყუნდა ქარდავა და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, ჯაშუშობის ბრალდებით, 2011 წლის 19 სექტემბერს დააკავეს, 25 სექტემბერს იგი გლდანის ციხეში გარდაიცვალა.


აიონდი 31 იანვარს თბილისში მოთოვს. „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში განუცხადეს, საქართველოში არამდგრადი ამინდი თვის ბოლომდე შენარჩუნდება. სინოტიკოსების ინფორმაციით, 30 იანვრიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, უმეტესად თოვლის სახით, დასავლეთში კი წვიმა. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში 28-29 იანვარს +10 +15 გრადუსს იქნება, აღმოსავლეთ საქართველოში +6 +11. რაც შეეხება დედაქალაქს, სინოტიკოსების ინფორმაციით, 29 იანვარს, თბილისში ტემპერატურა +11 გრადუსს იქნება, 30 იანვარს თოვლგაბობა მოსალოდნელი, დღის მაქსიმალური ტემპერატურა +4 გრადუსს შეადგენს. 31 იანვარს კი სინოტიკოსები დედაქალაქში თოვლის მოსვლას პროგნოზირებენ.

დაიჯესტი

მისი აღზარდად უკან
უღარიბესი პრაზიდეტი!

რომორ ფიქრობთ, პატივცემული მკითხველო, ვინაა ამ ფოტოზე გამოსახული? მიუსაფარი მოსუცი თავის ერთადერთ მეგობარ, მასავით მანანალა ძაღლთან? თუ რომელიმე მსგავსი პერსონაჟი იმ დიდი ტრაგიკომედიისა, რომელსაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია? სულაც არა: თქვენს წინაშეა ურუგვიანს ამჟამინდელი პრეზიდენტი სოფი მუხიკა.

მან უარი განაცხადა პრეზიდენტის სასახლეში ცხოვრებაზე და მონტევიდეოს მახლობლად ოჯახის



მორიდებულ ფერმაში დასახლდა. დილაობით 78 წლის პოლიტიკოსს ჭიდან წყალი თავისით ამოაქვს, მის „რეზიდენციას“ კი მხოლოდ პოლიციის პატრული და უჯიშო ძაღლი ვილი ყარაულობენ.

ურუგვიანს პრეზიდენტის ყოველთვიური ხელფასია 12 ათასი დოლარი, თუმცა კი ეს ქვეყანა ლათინური ამერიკის კვალბაზე საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ამ მორიდებულ ხელფასიდანაც სინიორ მუხიკა სახარჯოდ მხოლოდ... 750 დოლარს იტოვებს, დანარჩენს კი გაჭირვებულთა საჭიროებისთვის გასცემს. ახალგაზრდობაში იგი რევოლუციონერი იყო, ქვეყანაში დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა, ექვსჯერ დაჭრილი იყო, 14 წელი საპყრობილეში გაატარა...

— მე ყველაზე ღარიბ პრეზიდენტს მეძახიან, მაგრამ თავს ლატაკად არ ვგრძნობ. ლატაკები ისინი არიან, ვინც მხოლოდ საიმისოდ მუშაობენ, რომ ფუფუნებაში იცხოვრონ. ამ ხალხს სულ მეტი და მეტი უნდა, ამიტომაც მათ მიმართ სიბრაღის გრძნობა მაქვს, რადგან ყველაფერს მაინც ვერასდროს მოიხვეჭენ. ისე კი, ფლობდე ქონებას თუ არა — ეს ყველა კაცის პირადი თავისუფლების, საკუთარი არჩევანის საკითხია, — ასე ხსნის ბატონი პრეზიდენტი თავის კონცეფციას.

P.S. უმაღლესი რანგის ქართველი ჩინოსნები მსოფლიოს რომ უფლიან, ნეტავ ურუგვიანში ხომ არ მოეწვით კოლექტიური ვოიაჟი?

განხილვის აქტი

წორმშობილთა ტოლერანტობამ, როგორც ჩანს, გონიერების ყველა ზღვარს გადააჭარბა. ჯერ იყო და, რამდენიმე ათეული კაცის მკვლელობა დაიწყო...

ცინცხალი ანეკდოტები

— რომ განსხვავდება როიალი პიანინოსგან?
— როიალს სიმები, დეკა და მექანიკური ნაწილი ჰორიზონტალურად აქვს განლაგებული, პიანინოს კი — ვერტიკალურად. ამიტომაც როიალი პიანინოზე ზვევად დიდი...
— თქვენ, ალბათ, მუსიკოსი ხართ, არა?
— არა, მტვირთავი მუშა ვარ.
* * *
მისუცმა სოფელმა ცოლ-ქმარმა რადიო იყიდა. ბებომ იგი 220-ვოლტიან შტეფსელში შეაერთა.
სხედან მოსუციები და უცდიან... რადიოდან ბოლი წამოვიდა...



ივიკისთვის ცინცხი ნამდვილი სასათბურე პირობები შექმნეს, ახლახან კი ქვეყნის მთავარი ტელეარხის NTK-ს ახალი ამბების პოპულარული ტელეწამყვანი სირ კრისტინ საელმანი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ღია ეთერში გადაცემის წაყვანისას მას ველზე... ჯვარი ეკეთა (!).



საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მუსლიმანური თემის წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოხატეს იმ მოტივით, რომ „ჯვრის ძეგლი შეურაცხყოფს ისლამს“ და რომ „ეს სიმბოლო არ უზრუნველყოფს არხის მიუკერძოებლობას“. შედეგად, ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული ტელეწამყვანი სამსახურიდან დათხოვეს, თანაც პროგრამების წაყვანა აუკრძალეს, რათა ეს „განხეთქილებისა და დანაშაულის საბაზი არ გახდეს“ (!).

ამასთან დაკავშირებით ევროპული პრესა აღნიშნავს, რომ ეს ამბავი ძალიან ჰგავს ავიაკომპანია „ბრიტიშ ეირვეისის“ ყოფილი თანამშრომლის ნადი ევარდს ამბავს, რომელსაც უფროსობამ სამუშაოდროს ჯვრის ტარება აუკრძალა. სტიუარდესამ ავიაკომპანიას ევროსასამართლოში უჩივლა და შვიდწლიანი (!) დავის შემდეგ გაიმარჯვა კიდევ, რადგან სასამართლომ აღიარა, რომ მოხდა დისკრიმინაცია. ამის მიუხედავად, მაშინ სასამართლომ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად „ნაიტოლერანტა“ კიდევ, როცა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ცალკეულ პირთა რელიგიური პრაქტიკა ზოგჯერ სხვა პირთა უფლებებს ხელყოფს“.

როგორ განვითარდება მოვლენები ამ შემთხვევაში, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

კალი, კაბა და... ნიანგი



ბმსტრალიელი ვიკი ლოვინგს ყოველ დღე სახირონოდ...ოთხმეტრიანი კაიმიანი ჯონი სადავეგამობული გამოყავს.

მეზობლები ამ ამბავს კარგა ხანია შეეჩვივნენ და ერთხმად ამბობენ, რომ ჯონი ძალიან თვინიერი, კარგი ხასიათის ნიანგია. ის ძალიან კარგად ეგუება ვიკის სხვა საყვარელ ცხოველებს — სიამის კატა ვილის და ნაგაზ ჯორჯს. იქნებ ვინმემ არ დაიჯეროს, მაგრამ მათ ერთად სძინავთ კიდეც!

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი
გაზუსტდა



ერთ თვეში სააკაშვილს
განსასჯელის სპაზმი დასვა

„მართალია დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მიზნით პროკურატურაზე ზეწოლის კამპანიას იწყებს და, საზოგადოების მხრიდან აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაში, პირობას ადებს, რომ ერთ თვეში სააკაშვილს განსასჯელის სკამზე დასვამს.

„მართლ ჩემს მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისია, რომ მისივე შემოღებული შეკრებობის კანონით, სააკაშვილს მინიმუმ ათი წელი მიესაჯოს“, — ამბობს ბალათურია.

„სააკაშვილი“

„სააკაშვილი და კვირავილი
იბრალდით ერთად ვაჭრობდნენ“

— აცხადებს გოგა ხაინდრავა, — კვირავილის ხელში საქართველო ძალიან სერიოზული მოთამაშე იყო იარაღის უკანონოდ ვაჭრობის მსოფლიო სტემაში. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ეს სააკაშვილის გარეშე ხდებოდა? ან რა თანხებით ცხოვრობენ საქართველოდან გაქცეული უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და როგორც მე ვიცი, არც არაფერი უჭირთ. ამის მაგალითები საკმარისია, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ რეალურად ამ საქმეების განხორციელებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი რანგის მოხელეების მხრიდან.

„ხალი თაბა“

როგორ დაიგვიგა შარაპის მკვლელობა

რომორც გურამ შარაპის ქალიშვილი რუსუდან შარაძე ამბობს, გამოჩნდა მკვლელობის საქმის მნიშვნელოვანი მოწმე — პატრული გურიკა ქადარია, რომელიც ამბობს, რომ მამაჩემის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მეგის ქარდავამ (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის იმუამინდელმა უფროსის მოადგილემ) დაიბარა და გურამ შარაპის მკვლელობის ორგანიზება დაავალა — ქადარია ზუგდიდიდან თბილისში ორ სპეცრაზმელთან ერთად უნდა ჩამოსულიყო, მითითებები მიეღო კუდის მაღალჩინოსან გია დგებუაძისგან („მასტერა“) და შესაბამისად ემოქმედა. სპეცრაზმელები, ვისაც გურამ შარაძე უნდა მოეკლათ, გაფაჩულია და თემურ ჯგერენაია იყვნენ. ამ საქმისთვის მეგის ქარდავამ გურიკას წინასწარ 5 ათასი დოლარი გადაუხადა.

„კვირის პალიტრა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კალი



ავტორთა საჭურავლოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემელი: შპს „თბილისი-საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი ალექს ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24

056434